საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 18 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი: [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ[illegible] და კანტორის ადრესი: რუსთაველის ქ. № 24.

ტელეფონი 16—62

№ 237 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 237

დიდი-ჯიხაიშის საერობო სამკურნალოს პერსონალი აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ გარდაცვალებული ექიმის

ექვთიმე სიმონის ძის ვაშაკიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება დიდი-ჯიხაიშის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირას, 13 ოქტომბერს პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. (2714—1—1)

გულდათუთქული მშობლები: დედა დომინიკა პავლეს ასული ხელიძისა, მამა ავქსენტი კალისტრატეს ძე ხელიძე, ძმა შალვა ავქსენტის ძე ხელიძე, გამზრდელი ბებია ქრისტინა ბასას ასული ხელიძისა და უსაზღვროთ დამწუხრებული ბიძა კალისტრატე როსტომის ძე ხელიძე ულრმეს მადლობას სწირავენ ყველა იმ პირთ, ვინც პირადის დასწრებით, გვირგვინებით, წერილობით თუ დეპეშით ანუგეშა მწუხარებასა შინა მყოფი ოჯახი მათი მარადის დაუვიწყარ ძვირფას

გიძინა (ხუტუ) ავქსენტის ძე ხელიძის

უდროვოთ დაკარგვის გამო, რომელიც გარდაიცვალა 4 ოქტომბერს 1919 წ. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ და დაკრძალულ იქნა ქ. ფოთის ნაბეღლავის სასაფლაოზე 7 ოქტომბერს. (2751—1—1)

ოფიცრები და გვარდიელები საგანგებო ბატალიონის სახალხო გვარდიისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 18 ოქტომბერს, საღ. 5 საათზე, სამხედრო სასწავლებლის ეკლესიაში გადახდილ იქნება მეორმოცე დღის წირვა, უდროვოთ დაკარგულ ოფიცრის

სიმონ მათეს ძე ხუხუნაიშვილის

სულის მოსახსენებლათ. (2717—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: კესარია და მაიკო; ძმები: სევერიან, სარდიონ და ვალოდია; დები: კალენტი, ლიუბა, მარინე, თამარა, ნინა და შუშანიკა აცნობეს მოკეთეებს და ნაცნობებს, რომ დღეს, 18 ოქტომბერს, ს. ზემო-აკეთში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, ტრაგიკულათ დაღუპულ სახალხო გვარდიის განსაკუთრებულ ბატალიონის უფროსის

სიმონ ხუხუნაიშვილის

სულის მოსახსენებლათ. (2727—1—1)

გულდათუთქული და დამწუხრებული დედა ვერიჩკა და ბიძა გიორგი თალაკვაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარ

ანდრო (ვანო) სვანიძის

ტრაგიკულათ გარდაცვალებას. (2720—1—1)

თავზარდაცემული მეუღლე ნადია, შვილი ეთერი, დედა, ძმები ნესტორ და პეტრე, სიდედრი ელპიტე, უკანასკნელის შვილები ფიდო და კოლია კუკულაძენი, ბებია ეკა, ბიძები: სამსონ, ვასო, ისაკო და ვანო ვანიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათ ძვირფას და საყვარელ

ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის

ტრაგიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 4 საათზე. პეროვსკის ქუჩა, № 8. ბინა № 3. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2720—1—1)

დამწუხრებულნი: დედა დარიკო, და ვერა რუსიები და ამხ. ალექსანდრე ფაჩულია, ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ დღეს, შაბათს,

დიმიტრი მათეს ძე რუსიას

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ქ. ფოთში, ნახუტორის ეკლესიაში. (2722—1—1)

გულდათუთქულნი: გიგო და გულნარა, თალიკო ავქსენტის ასული, პავლე მეუღლით, ალექსანდრე, ლეონინა და პლატონიდა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 12 ოქტომბერს ბაკურიანის უღელტეხილზე ყაჩაღებმა ვერაგულათ გამოსალმეს წუთისოფელს პირველნი შვილები, მეორესი მეუღლე და მაზლი, მესამესი, მეოთხესი, მეხუთესი და მეექვსესი ძმები

პლატონი და პეტრე კიკნაძეები.

დაკრძალვა მოხდება დ. ხარაგოულში კვირას, 19 ოქტომბერს. (2723—1—1)

ნიკოლოზ პავლეს ძე, მეუღლე ანა ავქსენტის ასული კიკნაძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 ოქტომბერს ბაკურიანის უღელტეხილზე ყაჩაღებმა ვერაგულათ გამოასალმეს წუთისოფელს

პლატონი და პეტრე კიკნაძეები.

დაკრძალვა მოხდება დ. ხარაგოულში კვირას, 19 ოქტომბერს. (2723—1—1)

## სიგიჟე თუ უსინიდისობა

მალე ორი წელი გავა, რაც ბოლშევიკებმა მსოფლიოს გაბედნიერება გადასწყვიტეს, დეკრეტებით კომუნიზმი დააწესეს და ახალი წესწყობილების განსამტკიცებლათ მთელი რუსეთი სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვიეს. სოციალდემოკრატია იმ თავიდანვე აფრთხილებდა ბოლშევიკურ ავანტიურისტებს, რომ მათი ტაქტიკა არამც თუ სოციალიზმს ვერ დაამყარებს, არამედ მთელ ქვეყანას და მის საწარმოვო ძალებს გაანადგურებს, მოშლის დემოკრატიულ ფრონტს და მით კონტრ-რევოლიუციას ნიადაგს მოუმზადებსო. მაშინ მუშათა კლასის პარტია ამ გაფრთხილების გამო სოციალმოღალატეებათ იქნენ გამოცხადებულნი.

ამ ორი წლის განმავლობაში ბოლშევიკები სასტიკ ცდას ახდენდენ რუსეთის ხალხის ცოცხალ ორგანიზმზე. ისინი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონნი შეიქნენ და ამის შესაფერისათ პასუხისმგებლობაც სავსებით იკისრეს.

ბოლშევიკთა საშინელი ექსპერიმენტი საშინელი დამარცხებით დამთავრდა. რუსულ აზიური კომუნიზმი გაკოტრდა და სიცოცხლეშივე გაიხრწნა. ეს ჩვენთვის ცხადი იყო კარგა ხანია; მაგრამ როდესაც ასეთ ჩვენს შეხედულებას გამოვსთქვამდით, კომუნიზმის ქურუმნი სასტიკ რისხვას გვატეხდენ ჩვენს „კონტრ-რევოლიუციონურ“ თავზე. მაგრამ კომუნისტურ ბაქი-ბუქით და რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიით დუხჭირი სინამდვილის მიჩქმალვა დიდი ხნით შეუძლებელი შეიქმნა და ახლა თვით კომუნისტთა უხუცესი ლენინი სილატაკის მოწმობას აძლევს თავის თავსა და საკუთარ ამხანაგებს. ლენინის განკარგულებით საბჭოთა მთავრობამ ამერიკაში გადაგზავნა სხვა-და-სხვა მასალები სოვდეპიის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ; ამ მასალებს ლენინმა თან ახლო ბარათი მარტენსის სახელზე (ბოლშევიკთა წარმომადგენელია ნიუ-იორკში). ამ ბარათში ის სხვათა შორის სწერს: „უნდა გამოგიტყდე, რომ მე შემცდარი ვყოფილვარ რუსის მუშისა და მესაკუთრის შესახებ. ჯარიდან განთავისუფლებულ მუშებს, მხოლოდ ერთი აზრი და ოცნება აქვთ: ხელფასის მომატება. ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა საშინლათ გამწვავდა. სახალხო გაჭირვების შესამსუბუქებლათ შექმნილი კომიტეტები, მხოლოდ იმის ზრუნვაში არიან, რომ რაც შეიძლება მეტი შემოსავლიანი ადგილები შექმნან. მექრთამეობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა“. ასე ახასიათებს რუსეთის მდგომარეობას არა რომელიმე სოციალ მუხანათი და კონტრ-რევოლიუციონერი, არამედ თვით კომუნიზმის მამამთავარი ლენინი. რუსეთის კომუნისტები უკვე „გამოტყდენ“, მაგრამ საქმის გამოსწორება მათ აღარ ძალუძთ, უკან დახევა უკვე შეუძლებელია. სასტიკ პასუხს აგებენ ისინი ისტორიის წინაშე, მაგრამ ამ საშუალებაში კიდევ შეიძლება ადგილი ექნეს დამცველის სიტყვას, რომელიც იტყვის—ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდენ, კეთილ სინიდისიერად შეცდენ და სხვაო. მაგრამ რა უნდა ითქვას იმ ხალხის შესახებ, რომელნიც რუსეთის საშინელი გამოცდილების შემდეგ მაინც ცდილობენ აქ, საქართველოში, გაიმეორონ რუსეთის საშინელება. ისინიც კეთილ სინდისიერათ სცდებიან, თუ საერთოთ სინდისზე მწყრალათ არიან? ვინ არის ის ხალხი, რომელიც დღეს საქართველოში კომუნისტურ მეამბოხეობას ეწევა? ყველად უსინიდისონი, თუ სრულიად გიჟები?!

## კიდევ სასამართლოზე

სასამართლოს მოწყობას არა ეშველარა. სოფელი გმინავს, ეძებს გამოსავალს, მარა ვერსად პოულობს. უწინდელი სასამართლოები სოფლის მსაჯულების სახით მოისპო. ახალი სავსებით არ მოეწყო და აი რამდენიმე წელიწადია ზოგიერთ მაზრაში სოფელი სამართალს სრულიად მოკლებულია და თავის სადაო საქმეების გასარჩევათ იძულებულია გადალახოს ათასგვარი დაბრკოლებანი.

იუსტიციის სამინისტრომ სოფლათ სასამართლოების მოწყობა ერობას მიანდო. ზოგიერთი ერობები მეტად გულგრილათ შეხვდენ სასამართლოს მოწყობის საკითხს და დღემდის თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. ზოგიერთ მაზრებში მოსამართლეც ვერ უშოვიათ, რადგან იმდენათ „გავდიდკაცდით“ ყველა, რომ სოფლად წასვლა არავის უნდა, ადგილობრივ კი ზოგიერთ მაზრებში შესაფერი ცოდნით აღჭურვილი პირები არ მოიპოვებიან. ასეთ შემთხვევაში მთავრობა მოვალე იყო ზოგიერთი იძულებითი საშვალებისათვის მიემართა და ასეთი ადგილებისათვის სამართალი მიეცა. ეს არ მოხდა და მისი შედეგია თითქმის მთელი მაზრების დღემდე უსამართლოთ დატოვება. სოფელი კი ამას ვერ იტანს და ამ ნიადაგზე დიდ უკმაყოფილებას აქვს ადგილი.

ზოგიერთ ასეთ ადგილებში თვით ხალხმა შექმნა ძველის-ძველი არხაიული ფორმის და შინაარსის სამართალი. ეს პრიმიტიული სამართალი დამყარებულია არა საქმის გამორკვევაზე მოწმეების დაკითხვით, არამედ, უმთავრესად, ფიცზე. უნდა დაიფიცო, რომ მართალი ხარ და ამ ფიცში მონაწილეობა უნდა მიიღოს კიდევ რამდენიმე კაცმა. ამას ეძახიან „ფიცში ჩაყოლას“. ეს „ფიცში ჩაყოლნი“ გარდა იმისა, რომ ძნელი საშოვნელია, ძვირათაც უჯდება მომჩივან-მოპასუხეს. ზოგიერთ ადგილებში სასამართლოს ადგილი დაიჭირა სამედიატორო სამართალმა, მაგრამ მედიატორეთა ჯილდო იმდენათ დიდია, რომ მისი გადახდა არც ისე ადვილია ყოველივე ეს, ვიმეორებ, ხალხში დიდ უკმაყოფილებას და დრტვინვას იწვევს.

საჭიროა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიექცეს და ხალხს სამართალი მიეცეს. დაყოვნება იმდენათ გაართულებს მდგომარეობას, რომ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი. თუ რომელიმე ერობამ ვერ შესძლო საქმის მოგვარება, საჭიროა სამინისტრომ თვით იკისროს სასამართლოს მოწესრიგება და განსაკუთრებული ადგილებისათვის განსაკუთრებული პირობები შექმნას.

განი.

## პრესა

სომხეთ აზერბეიჯანის დავა დღეს საჭირ-ბოროტო საკითხათ არის გადაქცეული ჩვენს პრესაში. ყველა გრძნობს, რომ ამ ორ სახელმწიფოთა ურთიერთობა მარტო მათ არ ეხება, რომ მას სხვა მეზობელ სახელმწიფოების ცხოვრებაზედაც აქვს გავლენა. „საქართველო“ს აზრით,

„ამ დავას და მისგან გამოწვეულ შედეგებს, ძალიან დიდი გავლენა შეუძლიათ რომ იქონიონ საქართველოს საგარეო და საშინაო კეთილდღეობაზედ.

„ამიერ კავკასიის სამივე რესპუბლიკის ინტერესები ისე არიან ერთმანეთში გადახლართული და ამ რესპუბლიკათა კეთილდღეობა ისეა დამოკიდებული ურთიერთ მდგომარეობაზედ, რომ ყოველი რესპუბლიკა დაინტერესებული უნდა იყოს თავის მეზობლის მდგომარეობით“.

გაზეთს სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ ამ სადავო საკითხების გამო სომხეთს და აზერბეიჯანს შორის ომი გაჩაღდეს, რადგან ეს ომი ყველა რესპუბლიკებს დააქცევდა.

„დღეს სწყდება ბედი სამივე რესპუბლიკის არსებობისა და არც საგარეო და არც საშინაო მდგომარეობა ჩვენი დაწყობილი და საბოლოოდ გამორკვეული არ არის.

„არც ერთმა არ ვიცით, თუ საფრთხე ხვალ რომელი გზით მოგვადგება, ან მტერი რომელი მხრიდან ამართავს მახვილს.

„ერთად ერთი და მასთან ყველაზედ უძლიერესი ძალა, ჩვენი ურთიერთი დახმარებაა და სოლიდარული გამოსვლა და თუ ეს ძალა შეგვისუსტდა, ადვილი იქნება ჩვენი დამარცხებაც.

„სომხეთ აზერბეიჯანის ერთმანეთზედ საომრად ამართვა იქნება ნიშანი მტრის ჩვენზედ წამოსვლის და თუ დღეს, აქ, სამივე რესპუბლიკის ნორმალურ კეთილ-მეზობლურ განწყობილების დროს, ჩვენი თვალი და ყური ყოველი წუთს მტრისკენ არის დაჭიმული, რა მოხდება მაშინ, ომის ცეცხლი თუ გაჩაღდა შინ!“

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ეს დამღუპველი ომი თავიდან ავიცილოთ? „საქართველო“ს აზრით, „დათმობის“ გზით ამ საკითხების გადაჭრა არ შეიძლება:

„ჩვენ ვერ მოვთხოვთ აზერბეიჯანს, რომ უსათუოდ დაუთმოს სომხეთს ზანგეზური, თუ იგი მის სახელმწიფოებრივობისათვის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს და მხოლოდ მისთვის, რომ სომხეთმა ამ მოთხოვნაში ცხარე ტემპერამენტი და ენერგია გამოიჩინა“.

ქართველ ნაციონალისტების რუსულ ორგანოს „ობნოვლენიე“ საც არ მოსწონს დათმობის გზა. იგი ასე აფასებს სოც.-დემოკრატების პოზიციას ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხებში:

„ტერიტორიის გარშემო ატეხილ შუღლში საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ მაქსიმალური დათმობა გამოიჩინა, იგი მოლად შეპყრობილია ერთი სურვილით—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები შესაძლებელ შეტაკებისაგან დაიჭიროს და „მშვიდობიან შეთანხმების გზით“ გადაარჩინოს ამიერ-კავკასიის ხალხი სისხლის ღვრის დამღუპველობისაგან. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მთავრობის ამნაირს ცდას არ მოუტანია სასურველი შედეგები. მცინავ ბედმა საქმე ისეც კი მოაწყო, რომ აგერ მეზობლებთან ომში ჩაითრია სწორეთ ჩვენი სოციალისტური მთავრობა, რომელსაც გულწრფელად სურდა მშვიდობიანობა. ამ მეტყველმა ფაქტმა მაინც ვერ შეარყია მენშევიკების შეუდრეკელი რწმენა და ისინი დღესაც ოცნებობენ უკვდავ რუს მეარაკეს გმირების ერთ ყურემში შებმაზე“.

ამნაირათ, ნაციონალისტების აზრით, უეჭველად საჭიროა სომხეთ-აზერბეიჯანის ომის თავიდან აცილება, მაგრამ „დათმობის გზა“ მათ არ მიაჩნიათ მისაღებათ. სამწუხაროდ, ნაციონალისტების არც ქართული და არც რუსული ორგანო არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რანაირათ და რა გზით შეიძლება ომის თავიდან აცილება, თუ არ დათმობის გზით.

* * *

„აშხატავორი“ (№ 218) თავის მეთაურში საყვედურს უცხადებს დიდ სახელმწიფოებს იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც ისინი სომხების მიმართ აწარმოებენ:

„აქამდე ჩვენი მშრომელი ხალხის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დამცველი ხელმძღვანელი წრეები თავიანთ მოთხოვნილებაში ემყარებოდნენ ხალხის კულტუროსნობას, მის მიერ გაღებულ მსხვერპლს, მის ერთგულობას და სხვა. ჩვენი მშრომელი ხალხი, მიუხედავად ისტორიის მწარე გაკვეთილებისა, იმედოვნებდა, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოში მზად არიან და მოვალეც არიან დახმარება გაუწიონ სომხეთს, რადგან სომეხი ხალხი ათ წლობით დატანჯულია კაცობრიობის წმინდა იდეებისთვის.

„მართალია, სარწმუნო სახელმწიფოთა წარმომადგენელთა დიდი დაპირებანი, მაგრამ არავისთვისაა დასაფარავი, რომ ამ დაპირებებს იძლევიან მხოლოდ მომენტის ძალდატანების ქვეშ, რომ შესაფერი ძალით ისარგებლონ.

„ფაქტები ბევრია. რუსეთს, ქრისტიან ერების ამ ერთად ერთ დამცველს, უნდოდა 800,000 სომხების გვამებზე დაესახლებინა ეფრატის მდინარის მიდამოებში რუსის ყაზახობა. „თავისუფლობის მოყვარე“ საფრანგეთს აქამდეც უნდა წაართვას სომხეთს კილიკია, ებრძვის ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს იმისთვის, რომ რუსეთში 60 მილიარდამდე ფული აქვს ჩაყრილი. დიდმა ბრიტანეთმა სომხებით დასახლებული ყარაბაღი, ზანგეზური და ახალქალაქი გულით გადასცა აზერბეიჯანს და საქართველოს, და მათ ნაცვლად მიართვა სომხეთს თათრებით დასახლებული არტაანი და ოლთისი.

„ჩვენ ყველა ამას ვითმენთ და გვწამს, რომ ასე სასტიკად არ გათელავენ „პატარა მოკავშირის“ წმინდა უფლებებს.

„და ყველა ეს დამარცხებანი შედეგია ჩვენი დამღუპველი პოლიტიკური რომანტიზმისა. არ დავივიწყოთ ისტორიის გუშინდელი გაკვეთილი და ხელი ავიღოთ პოლიტიკურ რომანტიზმზე“.

დაშნაკელები ყველაფერში შეიძლება გავამტყუნოთ, გარდა იმისა, ვითომც მათი პოლიტიკა ოდესმე „რომანტიული“ ყოფილიყოს. თუ „აშხატავორი“ გულწრფელად, დგება ცოდვების შენანიების გზაზე თუ დაშნაკცუთიუნს გულწრფელად უნდა „ისტორიის გაკვეთილებით“ ხელმძღვანელობა და პოლიტიკის შეცვლა, მან უნდა შეიგნოს, რომ მისი პოლიტიკის დამღუპველი შედეგები იმით კი არ აიხსნება, რომ მისი პოლიტიკა „რომანტიული“ იყო, არამედ იმით, რომ მისი პოლიტიკა მუდამ დაყრდნობილი იყო წვრილ წუთიერ ანგარიშებზე, უკანასკნელ გამარჯვებულ მხარის ფეხთა-ლოკვაზე, მეზობლების დაღუპვაზე და მას ერთი ერის უბედურების საშუალებით მეორის ბედნიერების აგებაზე. თუ დაშნაკელები გრძნობენ, რომ მათი პოლიტიკა გაკოტრდა, მიზეზი ამ გაკოტრებისა აღნიშნულ გარემოებაში უნდა დაინახონ.

## ავსტრიის ტყვეობიდან დაბრუნებულის წერილი

თვე ნახევარია რაც ავსტრიის ტყვეობიდან დავბრუნდი. ბევრი ამ ხანში შორე სოფლებიდან მოდიან თუ ქალაქებიდან წერილებით მეკითხებიან: ავსტრიაში დარჩენილ ქართველებში ხომ არ არიან ესა თუ ის პირნი, რა ვიცი მათზე, რა მდგომარეობაში არიან ტყვენი და რატომ სამშობლოში არა ბრუნდებიანო. როგორც ზოგიერთების ნალაპარაკებიდან ჩანს, ბევრს ტყვეობიდან დაბრუნებულ ამხანაგებს კარგათ ვერ გაურკვევიათ და ვერ აუხსნიათ პირისუფლებისათვის საქმის ნამდვილი მდგომარეობა და ის დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებითაც ტყვეები თავიანთ სურვილების წინააღმდეგ, იძულებულნი ხდებიან თავის გამოსაკვებათ დილიდან საღამომდის იმუშაონ ვინმე „პანის“ სასარგებლოდ მაშინ, როდესაც მას თავის სამშობლოში თავის ოჯახში იმაზე ნაკლებიც რომ იმუშავოს, მისი შრომა მეტ ნაყოფს მისცემდა, როგორც თავის თავს, აგრეთვე სამშობლოს. პირიქით ზოგს ასეთი ხმები დაუთესია: გზა გახსნილია და გაჭირვებით წამოსვლა შეიძლებელია, მაგრამ ბევრმა იქ სატრფო გაიჩინა, ცოლი შეირთო, მდიდრულად მოეწყო; საქართველოში აბა რა უნდათ და სამუდამოთ ავსტრიაში რჩებიანო. ყველა ასეთი ხმები სიმართლეს მოკლებულია და მისი საზოგადოებაში გავრცელებას ყველა უნდა უფრთხილდეს, რადგან ეს იქნება ისედაც სასოწარკვეთილებაში მყოფ პირისუფლების დაიარებულ გულზე მდუღარეს დასხმა. [illegible] 4 წელიწად ნახევარი ტყვეობაში გავატარე, თამამად შემიძლია ჩემთან ერთად ტანჯვა-წვალებაში ყოფილ თანამოძმენის სულისკვეთება და გულის ნადები საქვეყნოთ გამოვაცხადო. ჰყავს ვინმეს სატრფო თუ შეირთო ცოლი, ქართულ ძუძუთი აღმზრდელი, დედის ტკბილად ნამღერი „ნანინა“ და მისი აკვანი სამშობლო არავის დავიწყებია და წყურვილი უკან დაბრუნებისა და ნატვრა თავის შინაურების ნახვისა უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე სხვა ვინმესი. მაგრამ იმათ სამშობლოში დაბრუნებას ხელს უშლის ის, რომ იმჟამათ საზღვრები და გზები საიდანაც ტყვეებს საქართველოში მოღწევა შეეძლოთ განუწყვეტელ ბრძოლის შუაგულშია და მაშასადამე დაკეტილი. ახლა ამას დაუმატეთ რამდენიმე ათასი ვერსით სიშორე და გზაში აუტანელი სიმშილი და ყველასათვის ცხადი შეიქნება, თუ რატომ ქართველი ტყვეები ყველანი სახლში არა გვყავს. მოკლეთ გავეცნოთ იქაურ ტყვეების მდგომარეობას სინამდვილეს და კერძოთ მე რა ვაი ვაგლახი გადამხდა თავზე გზის ძებნაში, სანამ სხვა ამხანაგებთან ერთად ფეხს დავადგამდი სამშობლოს მიწაზე. ამით მგონია ყველა წარმოიდგენს თუ რა ძნელი ყოფილა ასეთ არევ დარევის ხანაში ტყვეობიდან თავის დაღწევა და სამშობლოში ჯანსაღათ დაბრუნება.

ბრესტ ლიტოვსკის ზავის შემდეგ ყველას გვეგონა, რომ ზავის პირველ დღიდანვე გაგვიღებდნენ ბანაკების ჭიშკრებს და დაგვაბრუნებდნენ სამშობლოში. მაგრამ ავსტრია-უნგრეთის მთავრობას ჩვენთვის არ ეცალა, პირიქით მას ვსჭირდებოდით უმუშახელოთ დაცარიელებულ სახელმწიფოში ფაბრიკა ქარხნებში და „ეკონომიებში“ სამუშაოთ და ფრონტებზე სანგრების სათხრელათ. წარსულ შემოდგომაზე, როდესაც სოფლად პირნახულის ალება მოთავდა და ნაწილნაწილად ის იყო სდგებოდა ტრანსპორტები სამშობლოში გამოსაგზავნათ, აი სწორეთ მაშინ მოგვისწრო აღმოსავლეთიდან გადმოხეთქილმა რევოლიუციის ტალღებმა, რომლებმაც ძირ-ბუდიანათ დაანგრია ავსტრო-უნგრეთი, როგორც მონარქიული სახელმწიფო. პირველად 28 ოქტომბერს ჩეხების „ნაროდნი ვიბორმა“ გამოაცხადა თავის რესპუბლიკანური სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამას მოყვა ავსტრიის იმპერატორის ტახტიდან გადადგომა, უნგრეთის ავსტრიისაგან გათიშვა და ყველა დამონავებულ ერების ავსტრიაში განთავისუფლება. რასაკვირველია, რევოლუციამ ტყვეებსაც გაგვილო ჩიხის კა

# დღეს

ინგლისის მაღაროს მუშებმა მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს, რათა დაუყონებლივ იქნეს ზავი შეკრული რუსეთის ფაქტიურ მთავრობასთან.

ეგვიპტეში ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყება განახლდა.

ზემო სილეზიაში საერთო გაფიცვები იწყება.

სამხრეთ სლავიაში მობილიზაციაა, მიზნათ აქვთ ფიუმედან დანუნციო განდევნონ. სხვადასხვა ადგილებში შეტაკება ხდება. მცხოვრებლები ფიუმედან დალმაციაში გარბიან. იტალიის რაზმები ქ. ტრაუს მიდამოებში შეტევაზე გადავიდენ.

პუანკარემ ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებას. ფორმალურად ხელშეკრულების დამტკიცება საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ბელგიის და პოლონეთის მიერ 2 დღის შემდეგ მოხდება, რის შემდეგაც ის ძალაში შევა.

ფონ დერ ჰოლცმა სარდლობა ფონ ებერჰარდტს გადასცა, თითონ კი ბერლინში წავიდა.

რიგაში და ლიბავაში გერმანიის წარმომადგენლები ლატიშთა მთავრობამ დააპატიმრა. გერმანიის მთავრობამ ამის გამო პროტესტი განაცხადა.

ფონ დერ ჰოლცის მოადგილემ გენ. ფონ-ებერ-ჰარდტმა განუცხადა ლიტვის მთავრობას, რომ ის იმოქმედებს ლიტვის მთავრობასთან შეთანხმებით.

კიევთან ბრძოლების დროს საბჭოთა ჯარმა ხელთ იგდო 800 მილიონ მანეთად ღირებული სურსათი.

მოსკოვში ლენინმა ავღანის საგანგებო ელჩები მიიღო და მხურვალე სიტყვით მიმართა მათ.

მოსკოვში შესდგა მენშევიკური პარტიის დიდი მიტინგი. ილაპარაკეს მარტოვმა, გორევმა და ერმანსკიმ, რომლებიც ყველას მოუწოდებდნენ გაერთიანებისაკენ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის ყველა ფრონტებზე მედგარი ბრძოლებია.

ტობოლის რაიონში წითელმა ჯარმა გაიმარჯვა.

---

რები და 3 ნოემბრიდან ლაგერებში კარგათმყოფს ვერ იპოვნიდით. ასე სწრაფად ლაგერების დაცარიელებას ხელი შეუწყო მაშინ ხალხში გავრცელებულმა ხმებმა: თუმცა გერმანიას ჩამოშორდნენ მოკავშირენი, მაგრამ ვილჰელმი მაინც ჯიუტობს და არ იყრის იარაღსო. ამიტომ ანტანტის ჯარი მოდის თავისუფლად ავსტრიით და ბოჰემიის საზღვრები გერმანიასთან ბრძოლის ველად გადაიქცევაო. ყველა ამაებით დაშინებული ტყვეები, რომ ხელმეორეთ არ ჩავარდნოდენ ვინმეს კიდევ ტყვეთ, ჩქარობდნენ ფეხით თუ მატარებლით, რაც შეიძლება მალე დაეტოვებიათ ნეტაც ბოჰემია. რა თქმა უნდა, რევოლიუციის პირველ დღეებში რკინის გზის სადგურები და მატარებლები ყოველგან გამოჭედილი იყო სამშობლოში მიმავალ ტყვეებით, ფრონტიდან და შიდა ქალაქების გარნიზონიდან გამოქცეული ავსტრიის ჯარისკაცებით, რომლებიც რევოლიუციამ გამოაფხიზლა და გაუთავებელ ძმათა სისხლის ღვრის ომში დაქანცულები მიეშურებოდნენ თავ თავის სახლში. ასე ათასობით თავის ნებით უწესრიგოთ გამოქცეული ტყვეები შიგ [illegible] ში უმრავლესობას არ ეცვათ საკმაოთ ტან-ფეხზე. და საერთოდ ყველანი კი მოკლებული იყვნენ თავშესაფარს და სურსათს, რაც ისედაც ტყვეობაში დამშეულ ტყვეებს უბედურობის ზღვაში აყენებდა. მაგრამ ყველა ამ ჯოჯოხეთური პირობების გაუარესებას უმზადებდა რუსეთის ანგრეული რკინის გზის საშინელი მდგომარეობა, რითაც არ შეიძლებოდა ამდენი ხალხის გადაზიდვა და ცის ქვეშ ცარიელ მუცლით ლოდინი, ტყვეებისაგან კი ბევრ მსხვერპლს ითხოვდა. (მწერალ ვლ. კოროლენკოს ცნობით პოლტავაში სადგურზე დღეში 40 სამხ. ტყვე კვდებოდა) ამიტომ არჩია ბევრმა ისევ ჩეხიაში დაბრუნება და ხელახლა მიაშურეს ფაბრიკა-ქარხნებს და „პანების“ ეკონომიას სამუშაოს საშოვნათ იმ იმედით რომ, სანამ ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგებოდა და გზების მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, ცოტას კიდევ წაიმუშავებდნენ და მერმე კი კვლავ პირს სამშობლოსკენ იზამდნენ. მაგრამ ასეთი იმედები არ გამართლდა გაუმჯობესობის ნაცვლად გზის მდგომარეობა გაუარესდა. ნოემბრის შუა რიცხვიდან გაჩაღდა ნამდვილი ომი უკრაინა-პოლონეთ და საბჭოს რუსეთ და უკრაინას ურთ ერთ შორის და ამით გზა, საიდანაც დიდ ტანჯვა წვალების შემდეგ შეგვეძლო ტყვეებს სული სამშობლოში მოგვეტანა, მოგვესპო. ამის შემდეგ ტყვეების დიდი პარტია არ გამომგზავრებულა და თუ ვინმე თავის ნებით გაბედავდა უკრაინაზე წამოსვლას ჩეხიის საზღვრებზე მაინდამაინც არ უშლიდნენ, ისე კი ჟურნალ-გაზეთები და „ჩესკო-რუსკი კომიტეტი“ გვითითებდა უკრაინა-პოლონეთში მომხდარ სისხლის ღვრაზე და გვაფრთხილებდნენ ადგილიდან არ დავძრულიყავით. ვისაც სამუშაო არ გააჩნდა, იმას გზავნიდნენ ხოცენის ლაგერში, სადაც ამერიკელების კომისიის თვალყურისგდებით ეძლეოდა გაუმჯობესებული საჭმელი. მიუხედავათ ამისა ამ ხანათ ჩეხიაში და ავსტრიაში ტყვეთა მდგომარეობა, მისი ცხოვრების პირობები და თავისუფლება შედარებით წარსულ წლებიან ბევრათ უკეთესია (ქირას და საზრდოს იმდენს ღებულობს, როგორც მუშა ავსტრიელი) მაგრამ მაინც ხანგრძლივ უცხოეთში ყოფნამ, შინაურობის უნახაობამ და სამშობლოდან არავითარი ცნობის მიუღებლობამ ყველას ყველაფერი მოგვაბეზრა და ჩვენი თვალყური აზრი და გონება იმისკენ იყო მიქცეული, თუ როგორ და საიდან გვეშოვნა გამოსასვლელი გზა სამშობლოსაკენ. ხშირათ ვხვდებოდით რუსის ტყვეობიდან მოსულ ავსტრიელებს, რომლებიც გვირჩევდნენ კიდევ მოცდას, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვურიგდებოდით და რაც რომ დაგვმართოდა სახლში წამოსასვლელათ ვემზადებოდით. ზოგიერთ ამხანაგის რჩევით წავედი პრაგაში „ნაროდნი ვიბორში“ და „ჩესკო რუსკი კომიტეტში“, რომ გამეგო რაიმე შესახებ ტყვეების გაგზავნისა. ორივე დაწესებულებაში მიპასუხეს: ჩვენ ჯერ არა ვიცითრა და გირჩევნიათ მოელაპარაკოთ ბერლინიდან ჩამოსულ საქართველოს სავაჭრო-მრეწველობის კომისიის წევრს ბ. ნ. კანდელაკსო. ვინახულე ბ. ნ. კანდელაკი და რადგან მისი პირდაპირი მოვალეობა და დანიშნულება ჩეხიაში მოსვლისა ის იყო რომ, ტყვეებს დაგვხმარებოდა, ამიტომ ვთხოვე თუ ყველა არა, ვისაც სამუშაო არა გვქონდა, საქართველოში გამოვეგზავნეთ. მან ასე მითხრა: ყველამ კარგათ იცის სამშობლოში, თუ ტყვეებს უცხოეთში რა ტანჯვა წვალება ამ 5 წლის განმავლობაში გადაგხდათ, გვებრალებით, მაგრამ ამ მოკლე ხანში ასეთ ომის ლიკვიდაციის და რევოლიუციის ქარტეხილის დროს პატარა საქართველომ ვერ მოასწრო [illegible] ეი და მეტადრე ტყვეების, ჩვენ და თქვენ რომ გვსურს ისე ჩქარა გავგზავნოთ, მოითმინეთ კიდევ და არის უტყუარი იმედები, რომ საქართველოს მთავრობა დაიქირავებს გემს ტყვეების წასაყვანათ, რის ნებართვას მოველით ინგლისელებისაგანო. რადგან მაშინ არავინ არ იცოდა ჩეხიაში და ავსტრიაში თუ რამდენი ქართველი ტყვე იყო და სად, ამიტომ ბ. ნ. კანდელაკმა დამავალა (თვითონ ბერლინში წავიდა) გაზეთების და წერილების საშუალებით მომეკრიფა ცნობა, თუ ვინ სად იყო, რომ საჭირო დროს ყველანი ერთად მოგვეგროვებია სამშობლოში წამოსაყვანათ. თუმცა-ღა ყოველგვარი საშუალება ვიხმარე, მაგრამ ძლივს-ღა 42 კაცმა მაცნობა თავისი მისამართი, რის სიაც მისამართით მარტში ბ. ნ. კანდელაკს გავუგზავნე. გაზაფხულზე ხშირათ მეკითხებოდნენ ამხანაგები და მე კი უგზავნიდი დეპეშა-წერილებს ბერლინში საქართველოს წარმომადგენლობას, რომ ჩვენთვის ეზრუნათ და ეშველათ, რაზედაც მიპასუხებდნენ: არ დაგვიწყებიხართ, გაჩერდით ცოტა ხანი და გაგგზავნით. ბოლოს ბერლინიდან რომ ვერაფერს ცნობას გვაწვდიდნენ (არც გვეგონა თუ ვინმე ქართველი ბერლინში იყო) და პრაგაშიაც ვერაფერს გავხდი, წავედი ვენაში. იქ შევედი სამხედრო ტყვეების დამხმარე ახალგაზრდათა კავშირის ბიუროში ინტერნაც. წითელი ჯვრის კომიტეტში, დანიის წითელი ჯვრის ბიუროში, იტალიის, ჩეხო სლოვენსკას და სერბიის მისსიებში, ავსტრიის სამხედრო და გარეშე საქმეთა სამინისტროში. ყველგან დიდი ყურადღებით მომისმინეს და მაძლევდნენ მარტო მე საშვალებას ბუქარესტამდინ მისვლისას, მაგრამ ერთი რომ მე ამხანაგები ვენაში თან არ მახლდა და მეორე ბუქარესტიდან საქართველოში გამოსვლა საეჭვო იყო; ამიტომ ხელ ახლა ბოჰემიაში ამხანაგებთან დავბრუნდი. ივლისის დასაწყისში ვენის „არბაიტერ ცაიტუნგ“-ში წავიკითხე, რომ კავკასიაში წასვლა იტალია ოსმალეთით შესაძლებელია და კაცის თავზე დაჯდება სამი თუ ოთხი ათასი კრონაო. ამასთან საჭიროა ნებართვა იმ სახელმწიფოს ელჩებისაგან, რომლების მხარეს გავლა დასჭირდებაო. ჩვენ ტყვეებს ამის არც საღარი გაგვაჩნდა და არც ამდენი ნებართვის ღების თავი.

ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო და ათ ივლისს ვცადე დეპეშის გაგზავნა ბერლინში წარმომადგენლობასთან. ჩვენდა სასიხარულოდ გვატყობინებენ: მოემზადეთ გემი ტყვეებით ჰამბურგიდან 20 ივლისს გავაო. მოვიდა მეორე დეპეშა, რომ პრაგაში ვილაც ჰამახერთან (გემის პატრონის წარმომადგენელია) მივსულიყავი, რომელსაც უნდა მოეცა ყოველგვარი ცნობა დახმარება ქართველი ტყვეების მოსაგროვებლათ და ჰამბურგში (გერმანიაში) მისაყვანათ. მიუხედავათ ამხ. ის. მახარაძის ხუთი დღე და ღამე შრომა სირბილისა (მე იმ ხანათ ავათ ვიყავი), რომელმაც თავის ჯიბის ფული ხარჯა რკინის გზებზე და გზავნა სამუშაოზე დეპეშები, რომ ქართველები საჩქაროთ ხოცენში მოგროვილიყო, ვერ შევასრულეთ ჩვენი სურვილები, რადგან ბ. ჰამახერის მოცემულ მოკლე დროში შეუძლებელი გახდა ჩეხიის რესპუბლიკაში დაფანტულ ტყვეების მოგროვება, რაც შეცდომით უნდა ჩაეთვალოს საქართველოს ბერლინში წარმომადგენლობას, რომელმაც დროზე ვერ გამოგზავნა პრაგაში, განსაკუთრებით ვინმე ქართველი. ამავე დროს გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ იმ რიცხვთაც, რომლებიც ავსტრიიდან გერმანიაში ყოფილ ტყვეებთან სამშობლოში ერთად დავბრუნდით, ერთი [illegible] ურწმუნო თომანი, რომლებსაც არ სჯეროდა, რომ ვიყავით უკვე ფოთში და არა კოლჩაკ დენიკინეთში, რომლების აგენტები მხურვალეთ ეწევიან აგიტა[illegible] ძიებენ სანთლით ტყვეებს, [illegible] ე. წ. „ცვეტნაია როტაში“ მოხალისეებათ ჩასაწერათ.

ჩემის და ჩემთან დაბრუნებული ამხანაგების ცნობით სხვა ბევრთა შორის არიან ჩეხიაში და ავსტრიაში შემდეგი პირნი: ნიკოლაიშვილი მიხეილ, თფილისიდან, ცოლი შეირთო. ძარძე ილია ქუთაისიდან, ცოლი შეირთო. მინასოვი ადამ, თფილისიდან, ცოლი შეირთო. ნონიაშვილი ივანე, თფილისიდან. გ. გამყრელიძე ალექსანდრე, ქუთ. გუბ., თოდრია ისაკი, ქუთ. გუბ. ჯოხაძე ილარიონ ქუთ. გუბ. გვენეტაძე ლეონტი, ქუთ. გუბ. ლოლაძე ალექსანდრე ქ. გ. სხირტლაძე არტემ ქ. გ. გოდერძიშვილი მიხეილ თელავი, გვრიტიშვილი სანდრო თფ. გ. გძელიშვილი ონისიმე რაჭა, აფრიდონიძე კოწია. ქუთ. გ. ლომინაძე კოწია, ქუთ. გ. ნაცვალაძე დიმიტრი ოზურგ. ჰოჰუა გიორგი, ფოთი. ცოლი შეირთო, ღლონტი დათიკო, ქუთ. გ. (პოლონეთშია) შოშიაშვილი გალაქტიონ ქუთ. გ. ლეკვინაძე სერაფიონ. ქუთ. გ. დუდუჩავა ლავრენტი ქუთ. გ., ტყებუჩავა, მიშველიძე, აბაშიძე, გიორგაძე, რეჟევაძე და ჩხაიძე (ამათი სახელები ვერ გავიგე) კასკაძე გიორგი, გაგნია [illegible] ლაიშვილი ალექსანდრე, და დიხამინჯია სარდიონ გარდა ზემოხსენებულ ქართველებისა არიან კიდევ საკმაო რიცხვი, როგორც ჩეხიაში, აგრეთვე ნემეცურ ავსტრიაში, უნგრეთში და გერმანიაში. თუ ჩვენ ტყვეობიდან დაბრუნებულებმა, ტყვეობაში მყოფის ჭირისუფლებმა ხმა არ ამოვიღეთ და კვლავ საქართველოს მთავრობამ არ იზრუნა და არ მიიღო შესაფერი ზომები ქართველ ტყვეების ხელ-ახლა სამშობლოში დასაბრუნებლათ, სხვა არავინ არის შემწყნარებელი და ჩვენი უდანაშაულოთ მწარეთ დასჯილი თანამოძმენი მართალია იძულებულნი იქნებიან თავიანთ სურვილების წინააღმდეგ გაუთავებელ ჯოჯოხეთურ არევ-დარევის გამო სამუდამოდ უცხოეთს შერჩენ და ამას კი მომავალში არავინ გვაპატიებს.

ვლადიმერ ახუტავა.

## უკანასკნელი ცნობები

**ხელშეკრულება ნატანებ-ბათუმის რკინის გზის შესახებ.**

ამა წლის ოქტომბრის 15 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორისა და ბრიტანიის წარმომადგენელის ამიერ კავკასიაში გენერალ ბრაფის შორის დაიდო შემდეგი ხელშეკრულება:

„ქვემომოყვანილი ხელშეკრულება იკვრება ერთის მხრით ბრიტანიის წარმომადგენელის ამიერ კავკასიაში და მეორეს მხრით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რწმუნებულის შორის ნატანებ ბათუმის ნაწილზე რკინის გზის მოძრაობის გასაადვილებლად. ხელშეკრულება ესე არის წმინდა საექსპლოატაციო ხასიათის შეთანხმება და სრულიად არ ეხება საკუთრების უფლების საკითხს.

1) ბრიტანიის ძალაუფლება იტოვებს თავის სრულ კანტროლის ქვეშ ნატანებ-ბათუმის ნაწილს, აგრეთვე ბათუმის სადგურებს „სამგზავროს“ და „სანავთ სადგუროს“ ყოველგვარ სარკინიგზო მოწყობილობებით.

2) საქართველოს ძალა-უფლება კისრულობს თავის ხარჯზე შეინახოს ბათუმ ნატანების ნაწილში (ბათუმის სადგურების: „სამგზავრო“ და სანავთსადგურო“-იანათ) რკინის გზის ლიანდაგები, ხიდები, რკინის გზის შენობები, ეზოები და ყველა სხვა ქონება, რომელიც საჭიროა ლიანდაგზე წესიერ მოძრაობისთვის, ბათუმის ნავთსადგურის რკინის გზის შენობა-მოწყობილებანი და აგრეთვე მოვალეა ბათუმის რკინის გზის სახელოსნოებში დააბრუნოს იქიდან წაღებული ყველა მანქანები. ლიანდაგის ყოველგვარი შესწორება ან შეცვლა და აგრეთვე ხსენებულ ნაწილზე სადგურების ეზოებსა და შენობებში ცვლილებათა მოხდენა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ბრიტანიის სარკინისგზო წარმომადგენელის დამტკიცების შემდეგ.

3) საქართველოს ძალა-უფლება თავის ხარჯზე ინახავს რკინის გზის ტელეგრაფის ხაზს და სიგნალიზაციას ბათუმ ნატანების ხაზზე, ბათუმიანათ.

4) საქართველოს ძალა უფლება ბათუმ-ნატანების ნაწილზე (სად. ბათუმიანად) წარმოებს სამგზავრო და საბარგო მატარებლების ადგილობრივ და პირდაპირ მიმოსვლა. ამ საგანზე ყველა განკარგულებანი უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს ძალა უფლებისაგან ბრიტანიის სარკინისგზო წარმომადგენლის პირდაპირ ზედამხედველობით.

5) საქართველოს ძალა უფლება ნიშნავს და ინახავს ნატანებ ბათუმის ნაწილზე ყველა კატეგორიათა მოსამსახურეების საჭირო შტატს და აგრეთვე საჭირო რაოდენობის სამანევრო ორთქმავლებს. ბათუმ-ნატანების (სად. ბათუმიანათ) რკ. გზის მოსამსახურებისადმი სამსახურის წესრიგის ჯამაგირების რაოდენობას და მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ უნდა მოხმარებულ იქნეს საქართველოს რკინის გზებზე არსებული წესები და ნორმები.

6) სატარიფო ნორმები მგზავრებისა და ბარგისთვის ნატანებ ბათუმის ნაწილზე ისეთივე იყოს, როგორც საქართველოს რკინის გზების სხვა ნაწილებზე.

7) ნატანებ ბათუმის ნაწილის ექსპლოატაციისაგან აღებული შემოსავალი მიდის საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ.

8) ბათუმ ნატანების ნაწილის საექსპლოატაციო უფლებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განაგრძობს თვეში 100,000 მანეთის გადახდას ბრიტანიის მთავრობის სასარგებლოდ.

9) ბრიტანიის ძალა უფლება იტოვებს უფლებას, ერთი თვით ადრე, ვინმე საქართველოს ძალა უფლება აუწყებს ამის შესახებ, ამ ხელშეკრულობაში ცვლილებანი შეიტანოს ან გააუქმოს იგი.

10) ხელშეკრულება ესე ძალაში შედის 1919 წ. ოქტომბრიდან, რომელ რიცხვიდანაც ა) წ. აპრილის 6 ის ხელშეკრულება ძალას კარგავს.

თფილისი. 1919 წ. ოქტომბრის 15. [illegible] ბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი. ინგლისის სარკინიგზო მისიის უფროსი გენერალი ა. ბრაფი.

**ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შუამდგომლობა.**

1919 წ. აგვისტოს 28 სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს რესპუბლიკათა დელეგაციების თავმჯდომარეებმა მიმართეს კლემანსოს შემდეგი შუამდგომლობით:

ბატონ კლემანსოს, მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს.

ქვემორე ხელის მომწერთ: სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს რესპუბლიკების დელეგაციების თავმჯდომარეთ, აქვთ პატივი განუცხადონ საზავო კონფერენციას, რომ ამიერ კავკასიიდან მოკავშირეთა ჯარის განზრახულ ევაკუაციას შესაძლოა მოჰყვეს არა სასურველი შედეგი.

ამისთვის ხელის მომწერნი სთხოვენ საზავო კონფერენციას შეაჩერონ მოკავშირეთა ჯარის გაყვანა, სანამ ხსენებული რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საკითხი არ იქნება გამორკვეული და გადაწყვეტილი.

ხელს აწერენ: თავმჯდომარე სომხეთის დელეგაციისა; თავმჯდომარე აზერბეიჯანის დელეგაციისა, თავმჯდომარე საქართველოს დელეგაციისა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17 ოქტომბერი.

**ბოლშევიკური პრესის ცნობები.**

**მოსკოვი. ნაუენი.** ოქტ. 14. გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ელზას-ლორენში სამხედრო წესები გრძელდება.

**ნაუენი.** ოქტ. 15. პრესბურგიდან იუწყებიან, რომ სლოვაკიაში და ზემო უნგრეთში რევოლიუციონურმა მოძრაობამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ ჩეხოსლოვაკთა მთავრობა იძულებული შეიქნა სამხედრო დიქტატურა გამოეცხადებინა. სლოვაკები სრულ ავტონომიას მოითხოვენ. მოძრაობა იზრდება კარპატის რუსინების შორის, სადაც ის ბოლშევიკურ ხასიათს ღებულობს.

**ნაუენი.** ოქტ. 15. ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე სოციალისტებმა ისევ მოითხოვეს აღმოსავლეთში ომის შეწყვეტა.

**ნაუენი.** ოქტ. 15. გერმანულ-ავსტრიის მთავრობა არ ფიქრობს ბავარიის მთავრობას გადასცეს ვენაში დატყვევებული მიუნქენის საბჭოთა რესპუბლიკის ბელადი.

**მოსკოვი.** 16 ოქტ. (სამხედრო ცნობებიდან). ლუგის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ პსკოვის დასავლეთით 20 ვერსზე სოფლები დაიჭირა. მდ. ირპენიან შეტევის დროს ხელში ჩავიგდეთ ინგლისის მძიმე ბატარეა, დავამარცხეთ მტრის ნაწილი. ფასტოვის მხარეზე მტერი მკაცრათ გვიტევს, მაგრამ ჩვენ უკუ ვაგდეთ. ჩერნიგოვის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ 30 ვერსზე ბრძოლაა. ქალაქ სევსკის ჩრდილოეთით 10 ვერსზე ბრძოლაა. კრომზე ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ვორონეჟის რაიონში წითელმა ცხენოსანმა რაზმმა მდ. უსმანის აღმოსავლეთის ნაწილი მტრისაგან გასწმინდა. უსტ-მედვედიცის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. ჩვენი ჯარი მტერს ამარცხებს და კურგანის რაიონში უტევს. კურგან პეტროპავლოვსკის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მტერს აღმოსავლეთისაკენ ავიწროვებს, ტობოლის რაიონში მტერი დავამარცხეთ. კიევის დაჭერის შესახებ დაახლოვებითი ცნობები ასეთია: კიევი აიღო ამხ. იაკრას გმირულმა ჯარმა შეტევით. ჩვენი შეტევა იყო ისეთი სწრაფი, რომ მტერმა ვერ მოასწრო დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადასვლა და უწესრიგოთ გაიფანტა ჩრდილოეთით. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ქონება. ფასტოვიდან 10 ვერსზე წითელი პარტიზანები გარს შემოერტყნენ მატარებელს, რომლითაც თეთრებისთვის სურსათი მოქონდათ კიევში. პარტიზანებმა ხელში ჩაიგდეს 800 მილიონ მანეთად ღირებული სურსათი.

**ნაუენი.** ოქტ. 16. ინგლისის მაღაროს მუშებმა მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს, რათა დაუყოვნებლივ იქნეს ზავი შეკრული რუსეთის ფაქტიურ მთავრობასთან.

ესტონიის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს: ბალტიის სახელმწიფოებს არას დროს არ ქონიათ მიზნათ რუსეთში ბოლშევიკური მთავრობის ჩამოგდება. ესტლიანდიის მთავრობის ყველა გაზეთები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთთან ზავი შეკრას. ვარშავა გაფიცვების წინ დგას. მთავრობის დაწესებულებები ჯარმა დაიჭირა. პარლამენტის გარშემო ტყვიის მფრქვევლებია დაწყობილი. მთავრობის და ინგლისის ტრედუნიონების შორის კავშირი შეწყვეტილია. ეგვიპტეში ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყება განახლდა.

**შენკურსკი.** ოქტ. 14. რუს. კომ. პარ. საზოგადო კრებამ დაადგინა დენიკინთან საბრძოლველად ფრონტზე გაგზავნოს პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფი.

15 ოქტომბერს მენშევიკების მიტინგზე მენშევიკების პარტიის სახელით მარტოვმა განაცხადა: „დღეს ჩვენ ვიწყებთ პარტიულ ანგარიშებს და მთელ ჩვენ ძალებს რევოლიუციის დასაცავათ ვიღებთ“. მენშევიკმა ერმანსკიმ განაცხადა: „მომენტის ერთად ერთი მიზანია საბჭოთა წყობილების დაცვა“. გორევმა განაცხადა: „დენიკინს სრული პოლიტიკური და ეკონომიური მონობა მოაქვს რუსეთისთვის, თუ გაიმარჯვა“. ესერების და ვოლსკის ჯგუფის სახელით ვოლსკიმ განაცხადა: „კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს შემოსეულ მტრისათვის პირდაპირ თუ არა პირდაპირ დახმარების აღმოჩენას“. „მენშევიკებს კომუნისტების სახელით სმიდოვიჩმა უპასუხა მხურვალე სიტყვით.

**ნაუენი.** ოქტ. 15. ზემო სილეზიის სამრეწველო ოლქის მუშებმა განაცხადეს, რომ იქ ამ დღეებში საერთო გაფიცვა დაიწყება. გაფიცვის ხელის შესაშლელად მთელ ოლქში საალყო წესებია გამოცხადებული.

**ნაუენი.** ოქტ 15. მილენბურგში მთავრობის ჯარმა სპარტაკელების კრება გაფანტა. ამ კრებაზე მონაწილეობას ღებულობდნენ ბრემენისა და ლიუბეკის მცხოვრებლები. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ დიდძალი იარაღი და საბუთები.

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 16. ლონდონის გაზეთების ცნობით, ინგლისის მთავრობამ სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლითაც ძლიერ შეზღუდულია სურსათით მოვაჭრეთა მოგება.

**შენკურსკი.** ოქტ. 14. ჩრდილოეთ ოლქის დროებითმა მთავრობამ ასი ათასი მანეთი გადასდო ავანსათ არხანგელსკიდან მურმანში დაწესებულებათა გადმოსაყვანათ.

**მოსკოვი.** ოქტ. 14. სახ. კომის. საბჭოს თავმჯდომარემ ლენინმა მიიღო ავღანის საგანგებო საელჩოს შემადგენლობა, საგარეო საქმეთა კომისარის თანდასწრებით. ლენინი შემდეგის სიტყვებით შეხვდა: მე მოხარული ვარ წითელ სატახტოში რომ ვხედავ მუშათა და გლეხთა მთავრობის წარმომადგენელს ჩვენი მეზობელი ავღანის ხალხისას, რომელიც იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვის. ავღანის ელჩმა უპასუხა: „მე გიწვდით ხელს და იმედი მაქვს, დაგვეხმარებით იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების საქმეში. საუბრის დროს გადაწყვეტილად განაცხადა, რომ სამუსლიმანო [illegible] ევროპის იმპერიალიზმს აღმოსავლეთში ადგილი არ აქვს.

**პარიზი.** ოქტ. 15. პარიზში ფიუმედან დეპეშით ატყობინებენ, რომ სამხრეთ სლავიაში მობილიზაციაა. 4 ბატარეა ზაგრებიდან ფიუმეში გაიგზავნა. გაზ. „ტან“-ი გადმოგვცემს, რომ იტალიის მთავრობას დაუშვებლად მიაჩნია, რომ მოხალისეების რაზმებმა ფიუმეში იბრძოლონ წინააღმდეგ (გამოტოვებულია) სამხრეთ სლავიანების მოხალისეები მთავრობას იარაღს სთხოვენ, რათა ფიუმედან დეანუნციო განდევნონ. მდგომარეობა სერიოზულია. იტალიის ერთ ჯგუფს სამხრეთ-სლავიანების რეგულიარულმა ჯარმა დაუშინა. ბელგრადიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მცხოვრებლები ფიუმედან დალმაციაში გარბიან, დანუნციოს გამოსვლებმა სხვა ადგილებში შეტაკება გამოიწვია. იტალიის რაზმები ქალ. ტრაუს მიდამოებში შეტევაზე გადავიდა.

**იტალიური პრესის ცნობები.**

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ რუმინიის ჯარის მთავარსარდლობის ბრძანებით, დუნაის დასავლეთით მდებარე ტერიტორია დასტოვა რუმინიის ჯარმა და უნგრეთის ჯარს გადასცა.

მაროკოში ესპანიის ჯარი მარჯვედ წინ მიიწევს. რეისულას მომხრენი გარბიან, მათ ესპანელები სდევნიან.

პარიზიდან იუწყებიან: უმაღლეს საბჭომ მარშალ ფოშს დაავალა, გააფრთხილოს გერმანია, რომ შვეციისთვის მასალის გაყიდვა არ ჩაითვლება კანონიერად, რადგან ეს საზავო ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება.

**ფრანგული პრესის ცნობები**

ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გუშინ პუანკარემ ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებას. ფორმალურად ხელშეკრულების დამტკიცება საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ბელგიის და პოლონეთის მიერ ალბად 2 დღის შემდეგ მოხდება, რის შემდეგაც ის ძალაში შევა.

**გერმანული პრესის ცნობები.**

გერმანიის მთავრობამ მატარებლის მიმოსვლა შესწყვიტა ბალტიის მხრისაკენ და აგრეთვე ამუნიციის შეზიდვა. ამჟამად იქ მხოლოდ ცარიელი მატარებლები დადის იმ მიზნით, რომ იქიდან ჯარი გადმოიყვანონ. გენერალ ფონ-დერ ჰოლცმა სარდლობა ფონ ებერგარტს გადასცა და ამ დღეებში მას ბერლინში მოელიან.

რიგაში და ლიბავაში გერმანელების წარმომადგენლები ლატიშთა მთავრობამ დააპატიმრა. გერმანიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ამის გამო.

გემი „გოლზანტია“, რომელიც შტეტინიდან ჯარის და ტყვეების გადმოსაყვანათ იყო გაგზავნილი, ლატიშელთა მთავრობამ დააკავა.

სტასბურგის ფრანგულმა ადმინისტრაციამ დაიწყო უმუშევრების გადაყვანა ვერდენსა და რეიმსში.

მიტავაში სამხედრო წესები გამოცხადდა. ქალაქში სიწყნარეა.

ფონდერ ჰოლცის მოადგილემ გენ ლეიტენანტმა ფონ ებერჰარდტმა ლიტვის მთავრობას აუწყა, რომ თავის თავზე მიიღო მე 6 კორპუსის სარდლობა, განუცხადა, რომ იმოქმედებს ლიტვის მთავრობასთან სრული შეთანხმებით და სურვილი გამოსთქვა პირადათ მოელაპარაკოს ლიტვის წარმომადგენლებს, რომელნიც ამ წინადადებას თანაგრძნობით შეხვდნენ.

რუსეთის ჩრდილო დასავლეთის ლიაზონოვის მთავრობამ წინადადება მიიღო ესტონიის მთავრობისაგან, ბინის სიმცირის გამო თავისი რეზიდენცია ესტონიის საზღვარ გარედ გადაიტანოს.

უკანასკნელ ხანს ფრანსკის კურსკის დაცემა გამოწვეულია საფრანგეთის დამოუკიდებლობის შეცვლით გერმანულ საქონლისადმი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, დიდი ძალი გაიგზავნა საფრანგეთში. ამას წინათ ფრანგებმა დიდძალი მასალა შეუკვეთეს გერმანიის მანქანების სააღმაშენებლო ქარხნებს. შესყიდვის და მომარაგების პარიზის ცენტრ. სამმართველოს წარმომადგენლები ამ ჟამად გერმანიის სხვადასხვა ნაწილებში იმყოფებიან, რათა გამოარკვიონ, თუ რა და რა საქონლის გაზიდვა შეიძლება გერმანიიდან უფრო ნაკლებ ფასებში, ვიდრე ამერიკიდან და ინგლისიდან.

საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნა წესები საფრანგეთში გერმანელ კომერსანტების ყოფნის შესახებ, რადგან უკანასკნელთა ჩამოსვლა საჭიროდ არის ცნობილი სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენათ.

## მთავრობაში

10 ოქტომბრის სხდომაზე დადგენილ იქნა შემდეგი:

თფილისის დავრდომილთა თავშესაფრის მოსამსახურეებს მოემატოს ჯილ-

ოდ დღიდან შტატების დამტკიცებისა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მოვანილ ცხრილის თანახმად.

— ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდების პროექტი გადაეცეს დასკვნისათვის სახელმწიფო კონტროლს და ფინანსთა მინისტრს.

— წინადადება მიეცეს წითელ ჯვარს დაუყონებლივ განათავისუფლოს საწყობები და გადასცეს მთავარ საბჭოს. ამასთანავე წინადადება მიეცეს ქალაქის თვითმართველობას იქ მოთავსებულ სასწავლებლისთვის სხვა ბინა მონახოს.

— რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს ოუმატოს 1 აგვისტოდან ჯამაგირი—მეგირდებს, რომელთაც იმსახურეს ერთი წელი—520 მ., ორი წელი—570 მ. და ონაც სამი წელიწადი—600 მან., სულ ოვეში 20,997 მან. შესაფერი დეკრეტი წარდგენილ იქნეს დამფუძნებელ კრებაში რკინის გზის დეპარტამენტის მიერ.

— გადაეცეს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს გზების ადმინისტრაციის სამგზავრო ფულის მომატების პროექტი.

— თფილისის ოლქის და საგანგებო სასამართლოთა საბრალმდებლო ნაწილები გაერთიანდეს და საგანგებო ბრალმდებლის მოვალეობა დაეკისროს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს მიხეილ ტატიშვილს.

— სომეხ ქართველთა ომში დაჭრილდასახიჩრებულთა და გარდაცვალებულთა დახმარებისთვის არსებულ 250,000 მან. შესახებ დაადგინეს, ვინაიდან ხსენებულ კრედიტის აღდგენა შეუძლებელია, გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 250,000 მან.

— გადაეცეს გენერალურ შტაბის უფროსს 100,000 მან. სამხედრო წესდებების გამოსაცემათ.

— მიეცეს განათლების მინისტრს 26,300 მან. დიდების ტაძრის ეროვნულ გალერეიათ გადასაკეთებლათ.

— გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 71,000 მან. ახალციხე ახალქალაქის შკოლების საჭიროებისათვის.

— განათლების მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს 5,600,000 მ. საქართველოს მუზეუმის გადასაკეთებლათ, შესაფერი დეკრეტის წარდგენით დამფუძნებელ კრებაში.

— კვირაში ერთხელ გაიმართოს სახაზინო თეატრში იაფ-ფასიანი წარმოდგენა, რათა მუშებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს და სამხედრო სამსახურში მყოფთ საშუალება მიეცეთ დაესწრონ წარმოდგენებს. გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 31,353 მ. 10 მილიონიან ფონდიდან სახაზინო თეატრის იმ დეფიციტის დასაფარავათ, რომელსაც გამოიწვევს ამ იაფ-ფასიან წარმოდგენების გამართვა.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქართვ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საცენტრალო კომიტეტის სხდომა.**

✦ **საგარეო საქმეთა მინისტრის** ამხანაგმა ქარცივაძემ, საქართველოს კონსულს ბათუმში ჩინიჯიშვილს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„გთხოვთ გენერალ გუბერნატორს კუკ-კოლისს შემდეგი გადასცეთ: 15 ოქტომბერს, ბათუმიდან მომავალი სასწრაფო მატარებელი, № 2, ქობულეთიდან გამოსვლისას გადავარდა რკინის გზის ლიანდაგიდან, რის გამო დაიმსხვრა ორთქლმავალი და სამი ვაგონი. გზა გაფუჭებულია 50 საჟენის მანძილზე. ამავე დროს მახლობლათ მდებარე ტყიდან გამოსულმა ყაჩაღებმა რიცხვით 70 კაცმა აუტეხეს მატარებელს სროლა. მატარებლის მცველების მიერ გაწეულ წინააღმდეგობის წყალობით ეს ბანდა ვერ მივიდა მატარებელთან და ანაირად მატარებლის მათ მიერ გაძარცვა ვერ მოხერხდა. ორი მეთაური ამ ყაჩაღთა ბრბოსი მოკლულ იქნა. მატარებლის დამცველმა რაზმმა შესძლო ყაჩაღთა შეჩერება, მაგრამ, ვინაიდან მას ნება არ ჰქონდა მატარებლის საზღვრებიდან გამოსვლის, იძულებული იყო თავი დაენებებინა მათი დევნისათვის. ამის გამო ყაჩაღებმა შესძლეს მიმალვა.

ასეთ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლათ, გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება რათა ჩვენი მატარებლის დამცველ რაზმს ნება მიეცეს იყოლიოს ბათომსა და ნატანებს შუა შეიარაღებული პირები და აგრეთვე მიეცეს მას საშუალება, მშვიდობიან მოგზაურობის დაცვის მიზნით, მიიღოს ადგილობრივ საჭირო ზომები ბოროტგამზრახველთა და ყაჩაღთა შესაპყრობათ“.

✦ **შანტაჟისტები.** შანტაჟისტებს დაუმზადებიათ ქალაქის თავის ბენია ჩხიკვიშვილის სახელის საღარბაზო ბარათი და უგზავნიან სხვადასხვა პირებს. ერთი ასეთი ბარათი მიუტანიათ სასტუმრო „ნოეს“ პატრონ ნოე სიხარულიძისათვის, შემდეგი შინაარსისა: „ბატონო ნოე! გთხოვთ ამ კაცის ხელით გამომიგზავნოთ სამი დღის ვადით ფული რამდენიც დაგირჩეთ. ჩემთვის საჭიროა 80,000 მან. ბ. ჩხიკვიშვილი“.

✦ **ბაქოში გაემგზავრა** საქართველოს წარმომადგენელი აძერბეიჯანში ალშიბაია, დავით ლამბაშიძე და საქართველოში მყოფი აძერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ვექილოვი.

✦ **ფინანსთა სამინისტროს** განზრახვა აქვს გამოსცეს ოფიციალური პერიოდული ორგანო, რომელიც გააშუქებს სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიურ მხარეს, ორგანო ორკვირეულია.

✦ **ერევანსა და თფილისს** შუა აღდგენილია რკინის გზით მიმოსვლა, სანაინიდან ერევანში მატარებელი მიემგზავრება ღამის პირველ საათზე.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს ს.ხ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ტარტიუფი ანუ მუზმუზელა“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ადგილები ფასი სახალხოა.

✦ **ქალაქის გამგეობამ** გაგზავნა სართიჭალაში სპეციალური კომისია იმ ზარალის გამოსარკვევათ, რომელიც გამოიწვია წყალდიდობის ცეცხლისაგან განადგურებამ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მესამე განყოფილებაში (ჩუღურეთი) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ეპ. ალშიბაია. „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი“, 2) დ. ასათიანი, საფრანგეთის რევოლიუციიდან“.

✦ **კაბარე.** დღეს საღამოს, სტუდენტთა სასადილოში, ამავე სასადილოს ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება კაბარე ვახშმით. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. დაუკრავს ზურნა და სიმფონიური ორკესტრი.

✦ **საღამო.** ავჭალის აუდიტორიაში გაიმართება დიდი საღამო მუსიკალურ განყოფილებით წარმოდგენილი იქნება „ოთხი იმერელი“. წარმოთქმულ იქნება სიტყვები და სხვა. აგრეთვე კონცერტი.

✦ **სამხატვრო ჟურნალი „ხელოვნება“** იბეჭდება და ახლო მომავალში ქ. ქუთაისში გამოვა ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“-ს მეორე ნომერი „ხელოვნება“ ს სახელწოდებით ჟურნალი იბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე დასურათხატებულია და შიგ მოთავსებული იქნება დ. კლდიაშვილის, პროფ. ი. ყიფშიძის და სხვა მწერალთა ნაწარმოებნი.

✦ **ქალ. თვითმართველობის** მუშა-მოსამსახურეთა კავშირის კომიტეტი აუწყებს კავშირის წევრებს, რომ მოსამსახურეთა კოოპერატივში იყიდება შეშა 1550 მანეთად საჟენი. ინგლისური ფეხსაცმელი 400 მ.—850 მ. სამუშაო კასტიუმი—800 მან. და მანუფაქტურა. შეშას იძლევიან ერთ მეოთხედ საჟენს. ფულის შეტანა შეიძლება მანუფაქტურა და ფეხსაცმელისათვის 50 პროც. შეშისათვის კი საჭიროა დაუყოვნებლივ შეტანა.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

— კვირას, 19 ოქტომბერს დილის 10 საათზე დემოკრატიულ კლუბში (მუშტაიდი) დანიშნულია თფილისში მცხოვრებ ოსების საერთო კრება.

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. სხდომა შესდგება პროფ. კავშირთა ახალს ბინაზე (რუსთაველის პროსპ. სახლი არამიანცისა. მეოთხე სართული. ოთახი 10).

## წმ. ნინოს უბანი.

წმ. ნინოს უბნის ერთი მხარის მცხოვრებლები დიდიდან დასახლებისა, უგზობით და უქუჩობით დიდ უბედურებას განიცდიან—განსაკუთრებით ზამთრის და წვიმიან დღეებში. ასე რომ ურმით ან ეტლით რომ რაიმე დასჭირდეთ მისატანათ, ძალა უნებურათ ბლევინებენ შუა გზაში ნორიის დაღმართზე და იქიდან ზურგით უხდებათ მიტანა სახლთან. ამ გაჭირების შესახებ რამდენჯერმე მცხოვრებლებს მიუმართავთ ძველ ქალაქის თვითმართველობისათვის, მაგრამ მათის მხრით არაფერი არ შესრულებულა. დღეს, როდესაც თვითმართველობა ქალაქისა ხალხის მიერ არჩეულია და იცავს დემოკრატიის ინტერესებს, დააკმაყოფილებენ ამდენი ხნის ნაწამებ მცხოვრებლებს, რითაც გამოიყვანენ უმწეო მდგომარეობიდან.

გ. ნუკრაძე.

# ბრძანება

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ.**

**№ 219.**

14 ოქტომბერი 1919 წ. ქ. თფილისი

პოლკოვნიკი ინწკირველის მიერ წარმოდგენილ ქ. ონში მომხდარი ინციდენტის შესახებ კვლევა-ძიებისაგან სჩანს შემდეგი:

2 ოქტომბერს ქ. ონში ადგილობრივ ებრაელთა სკოლის ახალი შენობის კურთხევაზე იყვნენ მიწვეულნი სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. როცა მიწვეულები ისხდნენ სადილათ, ებრაელთა სალოცავის ეზოში მივიდნენ იქ მეორე ბატარეის ოფიცრები კაპიტანი გოგიტიძე და ლეიტენანტები ზედგინიძე და ქარუმიძე, რომლებმაც შეურაცყოფა მიაყენეს ადგილობრივ ებრაელთა რაბინს და კომისარს; ზემოხსენებული ოფიცრები შეზარხოშებული იყვნენ და მათი ასეთი საქციელის მიზეზი ის იყო, რომ ისინი არ იყვნენ მიწვეულნი სადილათ. მათმა უდიერმა საქციელმა ძლიერ აშფოთა დამსწრე პირნი და როცა ადგილობრივმა კომისარმა დაიწყო მათი დამშვიდება, კაპიტანმა გოგიტიძემ, როგორც ამას ადასტურებენ ყველა მოწმები, დაუყვირა კომისარს, თქვენ ვინა ხართო და როცა მან აუხსნა თავის ვინაობა, ისევ უხრდილად დაუყვირა: „Наплевать на Васъ“. როცა აღელვებული კომისარი დაემუქრა ოფიცრებს თუ არ დაწყნარდებით მილიციელებს დაუძახებ და დაგიჭერთო, ერთი ოფიცერთაგანი სახელდობრ ლეიტენანტი ზედგინიძე გაეშურა ყაზარმებისკენ, მივიდა ბატარეიაში და უბრძანა ჯარისკაცებს, რომ სწრაფად მომზადებულიყვნენ მილიციასთან და გვარდიელებთან საბრძოლველად, რომელთაც ვითომ და სურთ მთელი ბატარეიის დატუსაღება. ჯარისკაცები თუმცა მოემზადნენ, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყვეს, გამართეს კრება, სადაც მოიწვიეს ერობის, მილიციის და გვარდიელების წარმომადგენლები. ამ კრებაზე სავსებით გამოირკვა, რომ ლეიტენანტი ზედგინიძის განცხადება ბატარეიაში ჯარისკაცებისთვის იარაღის აყრის და დატუსაღების შესახებ სრული პროვოკაცია გამოდგა, რომელიც თუ არ გათავდა დიდი უბედურობით და კატასტროფით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჯარისკაცებმა გამოიჩინეს შესაფერი სიდინჯე და გონიერება.

გულის წყრომით უნდა ავღნიშნო, რომ ოფიცრების მხრივ ასეთი საქციელი ყოვლად დაუშვებელია, როგორც სამარცხვინო და დამამცირებელი მათი მოქალაქობრივ ღირსებისა. ასეთი ოფიცრების რესპუბლიკის ჯარში დატოვება ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ ვბრძანებ: კაპიტანი გოგიტიძე და ლეიტენანტები ზედგინიძე და ქარუმიძე ეხლავე იქმნენ გადაყენებულები სამსახურიდან. საქმე მათ შესახებ გადაეცეს სამხედრო ბრალმდებელს მათი პასუხის გებაში მისაცემად.

სამხედრო მინისტრი რამიშვილი.

# აძერბეიჯანში

**სომხეთის წარმომადგენლი მთავრობის თავჯდომარესთან.**

აძერბეიჯანში მყოფ სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ტ. ა. ბეგზადიანმა ინახულა მთავრობის თავჯდომარე ნ. უსუბეკოვი და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი. საუბარს ჰქონდა მეტად მეგობრული ხასიათი და ეხებოდა უმთავრესად ორივე რესპუბლიკებს შორის კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარებას. ორივე მხარემ გამოსთქვა სურვილი, რომ სადაო კითხვები მშვიდობიანი გზით გადასწყვიტონ. სომხეთის წარმომადგენელმა გამოსთქვა სურვილი შესდგეს სომეხ-თათართა კონფერენცია. ეს წინადადება მთავ. თავმჯდომარემ დიდი სიამოვნებით მიიღო და გამოსთქვა სურვილი, რომ ის მალე განხორციელებულიყოს. გამოითქვა სურვილი, რომ ყველა სადაო კითხვა გადაწყდეს შეთანხმებით, თუ ვინიცობაა შეთანხმება არ მოხდება, სადაო საკითხები გადაეცემა სამედიატორო სასამართლოს. ამ საკითხის შესახებ ბეგზადიანს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მელიქ ასლანოვთან.

# სომხეთში

**სომეხ თათართა შეტაკებანი.**

აძერბეიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრმა 4 ოქტომბერს შემდეგი დეპეშა მიიღო ყაზახიდან: გუშინ პაშკენტის, ნოვობაიაზეთის მაზრის, ერევნის გუბერნიის, სოფლების წარმომადგენლებმა მაშადი გუსეინ ალი ოღლიმ, იბრაგიმ ოღლიმ, და ჯამაგ მიყის ოღლმა განაცხადეს, რომ ამ 30 დღის წინად სრულიად გაანადგურეს სოფ. პაშკენი სომხეთის ჯარებმა და ბანდიტებმა. დარბევას ხელმძღვანელობდენ სომხების ოფიცრები, ბოქაულები და მაზრის უფროსები. მოკლულია სამას კაცამდე. 17 ლტოლვილთაგანი ამ სოფლისა შეიპყრეს ელინოვკასთან. ორი მათგანი გაექცათ, 15 კაცს კი ყელები გამოსჭრეს. დღეს ჩემთან გამოცხადდენ ტიხის, ეჩმიაძინის მაზრის მცხოვრებნი და გადმომცეს ის უბედურებანი, რომელიც მათ სოფლებს დაატყდათ 10 დღის წინად. მათის გადმოცემით სოფელი განადგურებულია. 600 მცხოვრებლებიდან 60 კაცი გადარჩენილა ცოცხალი. ამასვე იმეორებს სოფ. ახარაკის მცხოვრები მოლა-ჯაბარ კერბალაი ჰასან ოღლი. მისი სიტყვით ცხრა დღის წინათ ზემოხსენებულ სოფლის მცხოვრებნი შეკრიბეს სოფლის ყრილობაზე და სროლა აუტეხეს. ამ ბოროტებაში მონაწილეობას იღებდა მაზრის ადმინისტრაცია მთელის შემადგენლობით, ჯარის კაცები და ოფიცრები, რომელთაც ხელმძღვანელობდა ოსმალეთიდან გამოქცეული ბრბოები შემდეგ ცნობილი ბელადების გაბო არუთინოვი, მურად არუთინოვის, არამ მანველოვის, არამ აგაევი, მადათ მანველოვის, ბალაბეგ არუთინოვის, ვასიკ მანველოვის და არშაკ აკოფ ოღლის მეთაურობით. ეს ცნობები მტკიცდება მით, რომ ყაზახის მაზრაში აფარებული ლტოლვილი მუსულმანები ერიან 20-დან—30 აგვისტომდე დარბეულა 8 სოფელი. ლტოლვილებს საშინელი დატანჯული სახე აქვთ ყაზახთა მაზრის მუსულმანობა ძლიერ აღელვებულია სომხეთის ადმინისტრაციის მუსულმანებისადმი უადამიანო მოპყრობით.

გატყობინებთ რა თქვენ აღმატებულებას ამ ამბებს გთხოვთ სასწრაფოთ მიიღოთ საჭირო ზომები. საგანგებო რწმუნებული კარშაროვი“.

## პატარა ფელეტონ

# ბოდვა

III

(არც მთლად დასაბამი გიჟის და არც მთლად ასაშვები ჭკვიანის).

დეკრეტი № 1 (პურისათვის).

**ყოველთა და ყოვლისათვის!!**

მე უკვე დიქტატორი ვარ, და ოა საქმეს შევუდგე—დეკრეტები გამოვცე. მართალია ქრისტემ ბრძანა: „არამარტო პურითა ცხოველ არს კაციო“, მაშასადამე გარეშე პურისა სხვაც უნდა გწამდესო, მაგრამ მას ალბათ არ გამოუცდია შიმშილი, თორემ ამას არ იტყოდა; თუ გინდ გამოეცადა დალოცვილს გაძღომაზე დიდი რამ არ იხარჯებოდა, ხუთი პურით და ხუთი თევზით ხუთი ათასი სულის გაძღომა შეეძლო, უბრალო მომაკვდავი კი ასეთი ნუხლით ხუთ ბავშვს ვერ დააწყნარებს, ამიტომაც წმინდა სიტყვა წმინდათ შეუსრულებელი დარჩა და ყველა, ყველა და კიდევ ყველა მხოლოდ და მხოლოდ პირველად ყოვლისა პურისათვის ზრუნავს (თვით ქრისტეს მაგიერები კიდის პურს სახარებაზე მაღლა აყენებენ). სამაგიეროთ ყველამ ჩინებულად შეიგნო და კიდეც ასრულებს ქრისტეს მეორე ბრძანებას, რომელიც ღაღადებს: „მიბაძეთ ფრინველთა ცისათა, რომელნიც არცა სთესენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯესა, მაგრამ ყოველთვის მაძღარნი არიან!“ ეს სიტყვა ყველას იამა, გაუტკბა, მართლა და რა სჯობია ფრინველის მიბაძვას: გლეხმა პური დათესა, პური დაიწიფდა „შემოვიდა, ღელავს ბზინავს ოქროს ფერად“, ბეღურათა ლაშქარი დაეხვია, არხეინად კენკავს... ქვრივმა ტიალმა წიწილები დააფრთიანა, ქორმა წაიღო „იძახდა წიავწიავსა, იმისი ბუნტული, ბუმბული მაღლა მიჰქონდა ნიავსა“...

და მე დიქტატორი, პირველ ჩემს ბრძნულ ყურადღებას მივაქცევ ქრისტეს მოძღვრების მიმდევრებს: ბეღურებს, ყვავებს, ქორებს, რომელთაც გოგება შვილი „დედა-ენაში“ მტაცებლებს უწოდებს და რომელთაც თავი შეუფარებიათ ქალაქებში და აქედან ანადგურებენ სოფლელთა ნაშრომ-ნაჭირნახულევს. გლეხი შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს, ქალაქელები კი „არცა სთესენ, არცა მკიან“, სხვის ნაშრომს თვის საუნჯეში შეიკრიბებიან. ასეთ ბოროტებას ამიერიდან ვერ ვიგუებ, ამიტომ ვუბრძანებ **შინაგან საქმეთა მინისტრს** დაუყონებლივ გასწმინდოს ქალაქი ყვავ-ყორნებისაგან, გაძევებულ იქნას ქალაქიდან, ყველა, ვისაც კი შეუძლია ხელში დაიჭიროს თოფი, დღეს კი ქალაქში ერთი ტომარა ფქვილით სპეკულიანტობენ. ქუჩა-ქუჩა დადიან „პარა სპიჩკი ტრი რუბლია“-ს გაყვირიან, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს დეზერტირთა ბაზარს საცა ყოველგვარ დეზერტირთა ბუდეა სამხედრო დეზერტირი, სასამართლოს დეზერტირი ცოლშვილისა და მშობლების დეზერტირი, სინდის ნამუსის დეზერტირი ყველა გაიბაწროს. იქაურები ხუხულები (ბუდკები) ცეცხლს მიეცით, მერე იქაურ ტიალ მიწას დეზინფექცია გაუკეთეთ. ნუ დაზოგავთ სასტუმრო-რესტორანებში ტალიკ ტალიკ დელიყანდ ბიჭებს, სალფეთკის მაგიერ თოხი მიეცით ხელში და თუ გაჯიუტდებიან თითეულ სასტუმროს ნაცვლათ სანიტარული გადასახადისა, შეაწერეთ ნატურალური გადასახადი—თითეულ ოფიციანტზე თითო ნალია სიმინდი. შექსპირის სიტყვა: „წადი მონასტერში, წადი მონასტერში“! შეიცვალოს: „წადი სოფელში, წადი სოფელში!“ *)

ღირსია ყურადღების მთავრობის მოხელენი—კომისარი, მილიციონერები და სხვა. თვით მთავრობამ კარგად უწყის, თუ რომელ მოხელეს შრომის რა სასყიდელს აძლევს, უკეთუ მოხელე ჯამაგირზე მეტს ხარჯავს, ფუფუნებაშია, ცოლშვილს „აკატავებს“ „დაჩაში“ დაყავს, კარტს თამაშობს, წვეულებას მართავს, სჩანს ასეთი მოხელე, წესრიგის დამცველი, ფრინველების მიმბაძველი—სხვის ნაშრომს ითვისებს, მისი ხელგაშლილი ცხოვრება მოღალადურე ფაქტია იმისი, რომ ის ქურდია, მოქრთამეა (ისე არც ერთი ქურდი ქურდობაზე ნოტარიუსს არ დაიწერებს) ასეთებიც სხვათა გამბაწრელებიც თვით იქმნას გაბაწრული...

რაკი თანასწორობაა, ნუ მოიმდურებთ ნურც ქალებს, ქალებმა კარგად იციან თუ რა ჯამაგირი ეძლევა მათს ქმრებს და ის ქალი, რომელიც ქმარს იძულებულს ხდის მოიპაროს, ასეთებს რბილ ადგილას უთავაზეთ ვარდისა და იასამნის ნაზი წკეპლა.

ვინც ჩვენში ცხოვრობს, შემოხიზნულია, თავისიანები დაუტოვებია, მაგრამ ჩვენებური წესრიგი არ მოსწონს, გვლანძღავს, ასეთებიც იქ მიაბრძანეთ, საცა ჩვენს ქვეყანაზე უკეთესად იცხოვრებენ; დედაბრისა და უმადური ვაჟის არაკს ვერ მოვითმენ.

**გზათა მინისტრს** ვუბრძანებ: რკინის გზის ზოგიერთ სადგურებს, განსაკუთრებით გურიაში (ლესისა და ჯაპანის ბაქანიანებს), დაუყონებლივ შემოავლოს ჩინური კედელი, სამგზავრო ბილეთები იყიდებოდეს სადგურს გარეშე, შიგ სადგურში უბილეთოთ არავინ გააჭაჭანოს, თორემ ხუმრობა ხომ არ არის ქალების ასე უდიერად მოპყრობა, მათთვის არ არსებობს რვა საათის სამუშაო დღე, რადგან დღე ღამის განმავლობაში თითეულს ქალს უწევს რვაჯერ სადგურში გამოსვლა, ივანგარიშეთ რამდენი დრო უნდა დაიხარჯოს ჩაცმა-დახურვა, „შტუკატურკა“, სარკეში ცქერაზე, ამას ზედ დაურთეთ „ზატინკა-ტუფლის ცვეთა, ამიტომ ქალებს ან დაენიშნოს შესაფერი ჯამაგირი (სადგურის უფროსის ოდენა მაინც) ან გაანთავისუფლეთ შრომისაგან.

სრულიად საქართველოს კათალიკოსს ნება მიეცეს განქორწინების ნება დართოს ყველა იმ ვაჟებს, რომელთაც მამულის სიხარბის გამო ცოლები შეირთეს და რომელთაც დეკრეტის ძალით მამული ჩამოერთვათ და ცოლები კი არა. უქმროთ დარჩენილი ქალების სრული პატრონობა ევალება დეკრეტის გამომმუშავებელს—მიწათ მოქმედების მინისტრს.

მებზიკე.

(გაგრძელება დეკრეტ. მე 2 ნომერში).

*) ამაში „ერთობის“ მიმომხილველი ბ. განი თავის სივრძე განით დამეთანხმება. მებზიკე.

# სამარადისო საქმე

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ილია.

ჩემი ჰკლარა ბედნიერია, მეღირსა თავისუფალი საქართველო, ეს ხომ რჩეულ მამულიშვილთა ოცნება იყო, მაგრამ მწარე ფიქრები ხშირად მტანჯავს, სიამოვნებას ფრთებს აკვეცს. რათ მინდა დემოკრატიული რესპუბლიკა, ვისთვის მინდა საქართველოს დამოუკიდებლობა, თუ კი ერი გადაშენება გადაგვარებაგადამახინჯების გზაზეა დამდგარი. ყველა სულიერი არსება, თვით უძლური ჭიაც კი თავის მოდგმის გამრავლებაზე ცდილობს; ადამიანი, ყოველ ქმნილებათა გვირგვინიც თავს უუბედურესად რაცხდა თუ მას მემკვიდრე არ რჩებოდა, უშვილო-უძიროთ დარჩენა ეს ღვთის რისხვათ მიაჩნდა .. ქართველებიც გამრავლებას, შვილიერებას, ცხადია ღვთის დიდ წყალობათ თვლიდა. ახლად ჯვარდაწერილ დედოფალს ოჯახში მიყვანისას კალთაში ბუთხუზა ვაჟს ჩაუგორებდენ და ამით ნაყოფიერებას უსურვებდენ. ორსულ ქალს დიდი ფარეზით ექცეოდენ. გურიაში კი მელოგინე დედას (მშობიარობიდან ახლად განთავისუფლებულს) მეზობლები ეხმარებოდენ „შესაგვარით“, ძღვენით, მხიარულობა, თოფის სროლა, ღამის თევით უხვდებოდენ ახლად დაბადებულს, „მზე შინ შემოდის“ უღიღინებდენ... ადამიანს თავი უკვდავათ მიაჩნია, თუ მას რჩება მემკვიდრე. ბავშვი ოჯახში აუწერელი ბედნიერებაა. უკვდავი ვიქტორ ჰიუგო ერთ თავის ლექსში, უშვილო ოჯახს ასე ახასიათებს: „ცა უმთვარო და უვარსკვლავო, ხე უფოთლო, მინდორ ველი უბალახ უყვაილო—ოჯახი უშვილო“.

ცრუ განათლებამ, ეკონომიურმა მდგომარეობამ თვით ჰიუგოს სამშობლო საფრანგეთშიაც საგრძნობლად შეამცირა შვილიერება. ფრანგებმა ეს სახელმწიფოს უბედურება აღიარეს და ყოველი ძალ-ღონით ცდილობენ საქმის გამობრუნებას. დაარსეს ორსულ დედათა მფარველი დამხმარე საზოგადოება, გახსნეს უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი, მრავალ შვილიანებს დაუნიშნეს პრემია (ჯილდო) და სხვა. ერთი ფრანგი დოქტორი ამბობს: „ყოველი მოქალაქე ისევე მოვალე იზრუნოს ერის გამრავლებაზე, როგორც სამშობლოს დაცვაზე“. საფრანგეთის „განათლების“ ნაზეფი ქართველებსაც გადაედო,, წინანდელი შეხედულება შეიცვალა, შვილიერება ჩვენშიაც გაურბიან, მრავალ შვილიანს, თუ წინად თავი ბედნიერად მიაჩნდა, დღეს წინააღმდეგ. ორსულ დედათა [illegible] ნავს, უპატრონო ბავშვები [illegible] ბევრი [illegible] დაურჩება [illegible] მოკლებული ისევ ქუჩას დაუბრუნდება საზოგადოების ხორცმეტად. ჩვენი ერის ასეთმა მდგომარეობამ ერის მოყვარულთა ყურადღება მიიქცია: ჩვენშიაც დაარსდა ორსულ დედათა და უმწეო ბავშვთა დამხმარე საზოგადოება, ამ საზოგადოებას სახელმწიფოებრივი უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ვისაც კი გული შესტკივა და სწამს ჩვენი ერის მომავალი, ის ღარიბ საზოგადოებას ნივთიერად დაეხმარება, „მიეცით და მოგეცემის“ აღზარდეთ შვილები, თქვენი და სხვისი, ამით თქვენ ცხოვრებას უზრუნველყოფთ. მოკლე საგაზეთო წერილში ძნელია ამ საზოგადოების სამარადისო მიზნების გარკვევა.

ვათავებ სპარსელი მოციქული ბუჰას უკვდავი სიტყვებით: „რომელმაც აღზარდოს თავისი ან სხვათა შვილი იგი ალლაჰის შვილთა ზრდის“.

ან. წულაძე

# ფედერალისტების საქმიანობა

(ფოსტა ტელეგრაფის ცხოვრებიდან)

ვისაც ამ ბოლო თვეებში ხილისი ჰქონდა თვალი ედევნებინა გაზ. „სახალხო საქმე“ სთვის, ეცოდინება, რა ხმაურობა იყო იქ ატეხილი ფოსტა ტელეგრაფის უწყების გარშემო. ზოგ მკითხველს, შეიძლება, მართლაც ეჭვები დაებადა და იფიქრა, რაკი ეს გაზეთი ასეთ აურ ზაურს ახდენს, ალბათ რაღაც ბოროტ მოქმედებას უთუოდ ჰქონია ადგილიო. ასეთი მკითხველი სასტიკად შემცდარია. ფედერალისტებს რომ რაიმე ასეთი საბუთი ჰქონოდათ, ასე შორიდან არ მოუვლიდენ, მარჯვენა ხელს მარცხენა ყურზე არ მოიკიდებდენ და უფრო მალე და იოლად მოუღებდენ ბოლოს მათგან ათვალისწუნებულ ფ.-ტ. ადმინისტრაციას, მაგრამ, მათდა საუბედუროთ ამგვარი არაფერი გააჩნიათ და მხოლოდ ხმაურობით ცდილობენ შთაბეჭდილების შექმნას და გასვლას: თავისი პარტიის გაძლიერებას. მაგრამ უნდა მოვახსენო ამ ვაჟბატონებს, რომ მარტო ყვირილით მიზანს ვერ მიაღწევენ. საჭიროა საბუთები და არა ჭორები და ცილისწამება. საბუთები კი სულ სხვას ამბობენ.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მეზაირახტრე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ გავლენის განელება მოისურვა ფედერალისტ მოსამსახურეთა ერთმა ჯგუფმა. პატიოსანის გზით ამის მოხერხება შეუძლებელი იყო. მათ მიმართეს ჭორებისა და პროვოკაციის გზას და, რაკი იცოდენ ამას უფრო მეტი გასავალი ადმინისტრაციის მიმართ ექნებოდა, ამ მხრივ მიმართეს მთელი თავიანთი დაუშრეტელი „შემოქმედება“. მათ იცოდენ, რომ თუ მოსამსახურეებს აამხედრებდენ ადმინისტრაციის წინააღმდეგ, ამით სოციალ დემოკრატიასაც დაასუსტებდენ, რადგან ადმინისტრაცია ამ პარტიას ეკუთნოდა. მოკლე ხნით ეს მათ, თითქმის, შესძლეს კიდეც და წასულ ყრილობაზე შექმნეს პატარა უმრავლესობა (აქ მათ გვერდში უდგენ ბოლშევიკებიც ჰელიძის მეთაურობით). მათდა საუბედუროთ, ეს მათი გამარჯვების მაჩვენებელი ყრილობა გახდა მათ მესაფლავედ. ვერც ერთი მღლალ ფარდოვანი დაპირებები, რომლებითაც ფედერალისტ ბოლშევიკებმა მასსას თვალი აუხვიეს, ყრილობამ ვერ გაატარა ცხოვრებაში. ორისამი დღის საქმეს (შარშანდელ ყრილობის დამტკიცებულ წესდება-ინსტრუქციების სიტყვა-სიტყვით გადმოწერა სამარხი კასის წესდებაში მცირეოდენი შესწორებების შეტანა და ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფის გადათვალიერება, რომელიც ყრილობის პირდაპირ საქმეს არც შეადგენდა) მოანდომეს ოცი დღე და დაახარჯეს 50,000 მანეთი სახაზინო ფული (ბოროტი ენები ყრილობის გაჭიანურებას მიზეზათ ას მანეთიან დღიურებს ასახელებენ). სამაგიეროდ ყრილობამ გული იჯერა ადმინისტრაციის ლანძღვა გინებით.

ასეთმა საქმიანობამ მოსამსახურეები გამოარკვია. ასობით ხელმოწერილი პროტესტები გაისმა თფილისის მოსამსახურეებიდან. ყრილობის არჩეული ახალი ცენტრალური გამგეობა ჰაერში გამოეკიდა. იგი ფაქტიურათ ფედერალისტების პარტიულ კოლექტივათ გადაიქცა. გავლენის აღსადგენათ მიმართეს ისევ ნაცად გზას: ჭორებსა და ცილისწამებებს, მაგრამ მოსამსახურეთა ხელ ახალი მოტყუილება უკვე ისე იოლი აღარ შეიქნა. აი სწორეთ აქ დაიშველიეს მათ ხელახლათ „სახალხო საქმე“ და ბოლო დროინდელი ხშირი წერილებიც სწორეთ ამ ნიადაგზე დაიბადა. ეს უთვალავი აბდა უბდა წერილები იგივე სულით და ხორცით არიან გაჟღენთილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ფედერალისტ ფოსტა-ტელეგრაფელების მოღვაწეობა. განვიხილოთ მხოლოდ „მიუდგომელის" წერილები, რადგან მათში ყველაფერი გამეორებულია და, როგორც ფსევდონიმი ამტკიცებს, სიმართლეზედაც მეტი პრეტენზიები აქვს.

„მიუდგომელი" სწერს:

„რამდენიმე დღე გავიდა, რაც ბ. მგელაძე თავის თანამდებობას შეუდგა და ამ ხნის განმავლობაში არ ინება შემოსულიყო ცენტრალურ გამგეობაში და მისალმებოდა". ამ დროს „კამარილია უკვე იყრიდა თავს მგელაძის გარშემო". გამგეობის წევრები ამბობდენ, მგელაძე „ეტყობა კარგს არას მოუტანს უწყებას და მოსამსახურეებს". ეს გარემოება მსჯელობის საგნათ გახდა აგრეთვე გამგეობის სხდომაზე (იხ. ც. გ. ოქმი № 9—2. მარიამობისთვე 1916 წ.).

ეს ციტატა არის დამამტკიცებელი ავტორის „მიუდგომლობის" და იმისაც, თუ როგორ ეძებს ეს ხალხი რაღაც ბრალდებებს, რომ ვერ პოულობს, როგორ უპარდონოთ სთხზავს მათ. მართლაც, როგორ მოხდა ყველა ციტატაში დასახელებული, როცა მგელაძე დაინიშნა უფროსად 31 მარიამობისთვეს და იგი დასწრებია გამგეობის პირველსავე სხდომას 2 სექტემბერს (სხდომები იმართებოდა კვირაში ორჯერ). ნუ თუ ორი დღე საკმარისი იყო „კამარილიის" შესადგენათ და მგელაძის შესაფარებლათ იმდენათ, რომ გამგეობამ მსჯელობაც კი გამართა მის წინააღმდეგ თავის სხდომაზე? ამის შემდეგ ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა ავტორისთვის: „Умри, Денисъ, или больше ничего не пиши" და დანარჩენ მის ნაცოდვილარისთვის ზურგი შეგვექცია, მაგრამ, რაკი ერთხელ ხელი მოვკიდეთ, გავყვეთ ბარემ ბოლომდი.

გაუკეთა რა მგელაძეს პირველსავე შეხედვით უვარგისობის დიაგნოზი, ავტორი მას აწერს აუარებელ უსამართლობას, რომელიც 20 სექტემბერს გამგეობის ხელახალი მსჯელობის საგნათ გახდარა. რა არ ჩაუდენია მგელაძეს ამ ოც დღეში: „უფლების გადაჭარბება", „უსისტემო გადაყვან გადმოყვანა", „გამწესების დროს ღიიურების მიუცემლობა" და სხ. და სხ. მკითხველი ეძებს ყველა ამის დამამტკიცებელ საბუთებს, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ავტორი თითქო შეგნებულათ გაურბის მათ დასახლებას; მას საკმარისად მიაჩნია თავისი სიტყვა და გამგეობის ოქმის ნომრის დასახელება, ხოლო რაზე ემყარება ოქმი და მისი სიტყვები, ამაზე კრინტსაც არ სძრავს. მაგ., 20 სექტემბრის ოქმში, რომელიც ავტორს, თითქო, ზემოთ დასახელებულ „ბრალდებათა", დასასაბუთებლად მოყავს, ამ ბრალდებებზე არაფერიც არ არის ნათქვამი და ლაპარაკია მგელაძის „არა პატივისცემით" მოპყრობაზე მოსამსახურეთადმი და ესეც სრულიად დაუსაბუთებელი. უწყებაში, რა თქმა უნდა, ხშირია გადაყვან-გადმოყვანაც, დათხოვაც და ბევრი სხვა, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი ვინმეს უ საბუთოდ და უკანონოდ მიაჩნია, უნდა დაასახელოს, სახელდობრ რომელი შემთხვევაა უკანონო და რა საბუთის ძალით. ადმინისტრაცია ისე გაუგებარი არაოდეს იქნება, რომ შეგნებულათ უკანონო განკარგულებები გასცეს და პასუხისგებაში თავი ჩაიგდოს. შესაძლებელია შეცდომა, მაგრამ ადმინისტრაცია მის გასწორებაზე უარს ვერ იტყვის და თუ იტყვის ძალით გაასწორებინებენ. არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა და ამას ვერც „მიუდგომელი" ასახელებს, რომ ადმინისტრაციისთვის ვისმეს საბუთებით ხელში, დაემტკიცებინოს რომელიმე განკარგულების უკანონობა და მას იგი არ გაესწორებინოს, ხოლო, როდესაც მას (ადმინისტრაციას) პირიქით უკანონობის ჩადენას მოსთხოვენ, ამაზე, რა თქმა უნდა, მუდამ ღებულობენ სათანადო პასუხს. ადმინისტრაცია მთავრობის წარმომადგენელია უწყებაში და იგი ვერასოდეს ვერ გახდება სათამაშო ბურთად ამა თუ იმ ჯგუფის ხელში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოღალატე იქნება დემოკრატიის და მისი რესპუბლიკის.

რაც შეეხება წერილს, რომელიც გამგეობას მგელაძისათვის მიუწერია, იგი საიდუმლო მიტომ ყოფილა, რომ საქ მათ საბუთებზე ვერ ყოფილა დამყარებული, რაც იქიდანაც სჩანს, რომ როცა მგელაძემ მოსთხოვა გამგეობას ბრალდებების დასაბუთება, მან ზეპირათ განუცხადა მგელაძეს, რომ ამ საქმეს ოფიციალურ ხასიათს არ ვაძლევთ, ჩვენამდი მხოლოდ ასეთი ცნობები მოდის და რომ მომავალში უსიამოვნებისთვის რაიმე ნიადაგი არ მომზადდეს, წერილი მიტომ მოგწერეთ, მხოლოდ იგი ჩვენსა და თქვენს მეტმა არავინ უნდა იცოდესო. ამის შემდეგ მხოლოდ ავანტიურისტებს შეეძლო ამ წერილის საბუთად გამოყენება და მისი გამოქვეყნება, რაც სრულიად მიწასთან ასწორებს კავშირის პრესტიჟს და მის პატიოსან სახ-

ყვას. რამდენათაც დანამდვილებით ვიცით, წერილს წმინდა მეგობრული ხასიათი ჰქონდა და იქ აგრეთვე ლაპარაკი იყო მგელაძის დადებით და სასარგებლო მუშაობაზე, რომელსაც გამგეობა დიდათ აფასებდა. ამ წერილის ეს პირველი ნახევარი დამალეს ამ ვაჟბატონებმა და ასე დამახინჯებულათ დაბეჭდეს თავიანთ სიტყვით პროფესიონალურ და საქმით პარტიულ ჟურნალ „ფ. ტ. ხმაში".

ჩაქუჩი.

(შემდეგი იქნება).

## რკინისგზელთა ყრილობა

ამ სათაურით დაიბეჭდა „ერთობის" 233 ნომერში კ. ციმბირელის წერილი. ამ წერილში ბევრ სამართლიან შენიშვნასთან ერთად არ ს რამდენიმე არასამართლიანი მოსაზრებანი, რომელთა ახსნა განმარტება საჭიროდ მიგვაჩნია.

ყველაზე მეტი მოხვდა სასურსათო კომიტეტის წევრებს. არაფერი არ ვარგოდა. არაფერი გააკეთესო.

შეცდომა, ნაკლულევანება, ბოროტება ყველგანაა, მაგრამ იმისი თქმა, რომ ჩვენ სასურსათო მაღაზიებს არა გაუკეთებიათ-რა დაუშვებელია.

თუ რომელიმე ორგანიზაციამ ანგარიში არ გამოაქვეყნა დროზე, ჩვენ მას უსაყვედურებთ. აქ ანგარიში გვავაგებიე. ამ ანგარიშიდან გავიგეთ, რომ სასურსათო კომიტეტს რამდენიმე მილიონი მოგება აქვს.

დღეს რომ ჩვენ ეს საზოგადოება დავშალოთ, გავაუქმოთ თვითოეულ რკინისგზელებს რამდენიმე ათასი მანეთის ქონება შეხვდება.

კულტურულ-განმანათლებელ კომისიასაც არა გაუკეთებია-რაო.

ეს კი მეტის მეტია. აქაც ნაკლი არის, მაგრამ თუ ციმბირელი ვერაფერს ხედავს, თვით მისი ბრალია.

რაც შეეხება სავაჭმყოფო საქმეებს ციმბირელის მომხრე ვარ. ხოლო დაბოლოს ის შეეხო მწვავე საკითხს „ადმინისტრატორების" კავშირიდან გაძევებას და აქაც სიმართლეს უღალატა, განზე გადაუხვია.

ციმბირელი სწერს: მთავარ სახელოსნოს და დეპოს მოწინავე ამხანაგებს უკვე ჰქონდათ ადმინისტრაციის შესახებ მსჯელობა და მოითხოვეს თავიანთ დელეგატებისაგან დაიცვან ყრილობაზე ადმინისტრაციის ჩამოშორება კავშირიდან.

ეს მართალი არაა.

მეც ვიყავი ციმბირელთან ერთათ ამ კრებაზე.

რეზოლიუცია არ მიგვიღია, მაგრამ ერთი რეზოლიუცია კი მივიღეთ. ეს ისა, რომ დელეგატებს ხელფეხს არ უკრავთ. თავისუფალ მოქმედებას ვაძლევთ. იმისდა მიხედვით თუ როგორ ხასიათს მიიღებს ეს საკითხი ყრილობაზეო, ხოლო დელეგატებმა უნდა გვიწიონ ანგარიში აქ გამოთქმულ აზრებს და შეხედულებებსო.

ასე გახლდათ საქმე და მე ასე გავიგე, რომ დელეგატებმა უნდა დაიცვან ყრილობაზე შუათანა შეხედულება და არა კონტორის მეისტრები გაყრა კავშირიდან, რაც თქვენ წარმოსთქვით თქვენ სიტყვაში და წერილშიაც. ყოველ შემთხვევაში ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყრილობა საყოველთაო სასარგებლოთ გადასჭრის ამ მწვავე საკითხსაც.

დელეგატი.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 15 ოკტომბერს შესდგა საქ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 12 წევრი; არ გამოცხადდენ პირველ რაიონიდან—კ. მაჭარაძე და მეხუთედან—ს. ჯინჭველაშვილი. კრების გახსნისას კომიტეტმა მოისმინა პრეზიდიუმის დადგენილება შემუშავებული ერთად და თანხმობით რაიონის მდივნებთან, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: 1. რაიონის მდივნები ვალდებულნი არიან აწარმოონ სწორი რეგისტრაცია. დაუშვებელია სარეგისტრაციო წიგნებში იყოს აღნიშნული ცარიელი რიგი ნომრებისა და გვარები კი არა, მაშინ როდესაც აღნიშნული ნომრების რიგით განისაზღვრება წევრთა საერთო რიცხვი. 2. რაიონის მდივნები ვალდებულნი არიან მოითხოვონ მცირე კოლექტივიდან ყველა მათი დადგენილების ოქმები და დაწვრილებით გააცნონ კოლექტივს ყოველივე, რაც ხდება უკანასკნელში. 3 ყველა მოწერილებანი, როგორც მიმართვები თფილისის კომიტეტიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ოქმებიც აუცილებლათ უნდა იკითხებოდეს რაიონის სხდომაზე. 4. რაიონის მდივნები ყოველთვის ბოლოს ადგენენ თფილისის კომიტეტში კოლექტივის იდეურ მოღვაწეობის ანგარიშებს და აგრეთვე თვიურ უწყებებს კასის მდგომარეობის შესახებ. 5. მდივნები ვალდებულნი არიან იქონიონ ცნობები მათ რაიონში სად რამდენი ქარხანა მუშაობს, რამდენი ჩვენი 3. წევრი ირიცხება შიგ, არის თუ არა ქარხანაში მოწყობილი მცირე კოლექტივი და სხვა 6. მდივნები ზრუნავენ კოლექტივებისათვის მატერიალურ საშუალებების გამოძებნაზე, რისთვისაც ღებულობენ თავიანთ თავზე ინიციატივას ლექციების, საღამოების, სეირნობების და სხვა შემოსავლიან წყაროების შექმნისას. 7. მდივნები აწარმოებენ პარტიულ კრებების ანგარიშებს და აუცილებლათ აქვეყნებენ, როგორც ქართულ, ისე რუსულ პარტიულ პრესაში, რის გამოქვეყნებაც შესაძლებელია. 8 რაიონები აუცილებლათ განსაზღვრულ დროს უნდა იყოს ღია, რომ ამხანაგებს საშუალება მიეცეთ დროზე შეასრულონ თავისი პარტიული მოვალეობა და ტყუილა უბრალოთ დრო არ გაატარონ. თუ რა დროზე უნდა იყოს ღია ესა თუ ის რაიონი, ამას საზღვრავს თვით კოლექტივი, ადგილობრივი პირობების მიხედვით.

შემდეგ კომიტეტმა მოისმინა ვრცელი და დაწვრილებითი მოხსენება ცენტრალურ კომიტეტიდან და დამფუძნებელ კრების ფრაქციიდან.

დღის წესრიგში დასმულ კითხვებზე მიიღეს შემდეგი დადგენილებანი: წინასწარი საგამომძიებლო კომისიების არჩევა უარყოფილია. კომისიები აირჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით.

საკითხი მუშათა კლუბის აღების შესახებ გადაეცეს დასასკვნელათ პრეზიდიუმს. ეცნობოს რაიონებს, ხელი შეუწყონ პროფესიონალურ კავშირების ჟურნალ „მუშათა ცხოვრების" გავრცელებას.

დასასრულ წარმომადგენელმა პროფესიონალურ კავშირებიდან ამხ. აბდუშელიშვილმა სატარიფო პალატის მუშაობის შესახებ გააკეთა ვრცელი მოხსენება.

მდივანი

## მუშათა შორის

**პასუხი გ. სოფიოს შვილს.**

სინდიკალისტების გაზეთი „ახალი ნაკადი", 5 ოქტომბრის 44 №-ში სხვა სიცრუესთან ერთად ეხება „უბარი" კორესპონდენტის გ. სოფიოს-შვილის წერილით „მენშევიკების პოლიტიკა" თფილისის პროფესიონალურ ხელზე მოსამსახურეთა კავშირს და სწერს: „ხელაძემ გამოაცხადა სია კანდიდატებისა და ესენი უნდა აირჩიოთო. ამ სიაში უმთავრესად გვარდიელებია და ორიოლა მსუქან მსუქანი პირები, რომლებსაც არც ძალიან აინტერესებთ მუშათა საქმეები" ო.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წამოყენებულ სიასთან ერთად იქნენ დასახელებული გამგეობის წევრებს კანდიდატებათ ყოფილი გამგეობის წევრებიც, მაგრამ კრებამ ისინი გააშავა, რადგანაც მათი მეოხებით კავშირის საქმიანობა უფსკრულის პირამდის მივიდა. რაც შეეხება იმას, რომ მეტა წილი გამგეობაში მოხდენ გვარდიელები და ისინი, ვითომც არ არიან მუშათა ინტერესების დამცველნი, ბ. „უბარ" კორესპონდენტმა უნდა იცოდეს, რომ სახახლო სახალხო გვარდია არის გამოსული თფილისის პროლეტარიატ ს და მშრომელი გლეხების წიაღიდან და არა ერთი და ორი გვარდიელი შეუწირავს ჩვენ თავისუფლების და დამფუძნებლობის საქმეს. ამიტომ ბ. „გ. სოფიოს შვილს" ამოქმედებს „ქვენა გრძნობები" და ის ამით ვერ გაუტეხს სახელს ახალ გამგეობას, რომელიც მტკიცეთ იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

შემდეგ სწერს: „ზევიდან მოუმართამ ხელაძისათვის შემდეგი ბრძანებით: „ხომ ხედავთ კავშირებში ამ ბოლო დროს ბოლშევიზმმა იჩინა თავი და თქვენი მოვალეობა არის ეს კრამოლა აღმოფხვრილ იქნას ძირიანათ. ხელაძეც, რასაკვირველია, შეეცადა ბრძანება შეესრულებინა და ასრულებს კიდეც პირნათლად ჯერ-ჯერობით. მდივანს ურუშაძეს ციხეში ამოაყოფინა თავი, თან მას მიაყოლა ძველი გამგეობის წევრი ხუბუტელაშვილი". ამ წამოყენებულ ბრალდებისათვის „ბ. სოფიოს-შვილი" აგებს პასუხს სასამართლოს წინაშე. მხოლოდ, რაც შეეხება, პასუხის მგებელ კავშირებში მომუშავე ამხანაგებს, ისინი აწარმოებენ იდეიურ ბრძოლას და არ ერევიან არავითარ ადმინისტრატიულ საქმეებში. ეს იდეიური ბრძოლა აწარმოებს იმდენათ, რამდენათაც ეს არ დაჩრდილავს უმთავრეს დარგებს პროფესიონალურ მოძრაობაში. ამ დარგებს რომ დიდ ყურადღებას აქცევს პროფესიონალური კავშირების საბჭო, სადაც მომეტებული ჩვენი ამხანაგებია, ისიც ამტკიცებს, რომ 5 ოქტომბერს გახსნა საბჭომ სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც დიდი საქმეა სწავლა განათლების და მუშათა გონებრივათ ამაღლების დარგში. აგრეთვე დიდ ენერგიას იჩენენ მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებაში. ერთი სიტყვით ის ბრალდებები, რომელნიც წამოყენებულია ბ. „გ. სოფიოს-შვილისაგან", არიან მოკლებული ყოველივე სიმართლეს, ტყუილით სცდილობს გაუტეხოს სახელი დამსახურებულ ამხანაგებს, რადგანაც კავშირებში მომუშავე ამხანაგები და მშრომელი ხალხი კარგათ არჩევს თავის მტერს და მოყვარეს.

ი. მაზოშვილი.

## პროვინცია

**სანაინი.** ქურდ-ავაზაკები არ აძლევდენ მოსვენებას მოსამსახურეებს, ღამე არ გავიდოდა, რომ მათ რომელიმე ოჯახი არ გაექურდათ. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ ავაზაკებმა ბევრი მოსამსახურე შიშველი დასტოვეს. ვინ იცის რა ხასიათს მიიღებდა ეს არაჩვეულებრივი ცარცვა გლეჯა, რომ მილიციონერებს და მოსამსახურეებს არ მიეღოთ ენერგიული ზომები. მას შემდეგ რაც სანაინში გახშირდა ცარცვა გლეჯა აქაურ მილიციონერებმა თავგამეტებით იწყეს დარაჯობა, ყოველ ღამე დადიოდნენ სადარაჯოთ მთელ მიდამოებში. 29 ენკენისთვეს, დაახლოებით ღამის ორ საათზე, მილიციონერმა ნიკოლოზ კიკნაძემ დარაჯობის დროს შეამჩნია დეპოს ახლო მოხეტიალე კაცი, რომელიც ლამობდა ფანჯრიდან შესვლას ბატ. ხურაძის სახლში. კიკნაძემ შეიპყრო იგი და შეპყრობილმა ათი თუმანი აძლია მას, რომ გაეშვა მაგრამ ამხ. კიკნაძემ ფული არ გამოართვა და გაბოროტებული კაცი წარადგინა, სადაც ალაგი იყო. იგი აღმოჩნდა მეთაური ქურდ-ავაზაკებისა; მცხოვრებელი სოფ. უზუნლიარის, ამბარცუმ შეგვარიანოვი. იმ ქურდის შეპყრობის შემდეგ შეიპყრეს მეორე, ეძებენ სხვებსაც. აღმოაჩინეს ნაცარცვი ნივთები. იმ ქურდ ავაზაკების შეპყრობის შემდეგ მცხოვრებლებმა თავისუფლათ გრძნობენ თავს. ღრმა მადლობას უცხადებთ მილიციონერებს და განსაკუთრებით კი ამხ. ნიკ. კიკნაძეს ერთგულ სამსახურისთვის.

სანაინის დეპოს მუშა-მოსამსახურეების დავალებით გ. მეფარიშვილი.

—

**ქ. ზესტაფონი.** 12 ოქტომბერს გაიხსნა შორაპნის სამაზრო სახალხო გვარდიის რწმუნებულთა პირველი ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ მთავარი შტაბიდან: ამხ. ვალიკო ჯუღელი და ვ გოგიშვილი. კრებას დაესწრო 20 რწმუნებული, თავმჯდომარეობდა ამხ. ს სიხარულიძე, მდივნობდა ის. ხარატიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მთავარ შტაბის მოხსენება, 2) მოხსენება საოლქო შტაბისა და 3) საოლქო შტაბის რეორგანიზაცია. ყრილობამ გაუმართა ოვაცია ამხ. ჯუღელს. ამხ. გ. ნებიერიძის წინადადებით ყრილობამ ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს დეპეშა: მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას და მთავარ შტაბს. ამის შემდეგ ამხ. ჯუღელი აკეთებს ვრცელ მოხსენებას მიმდინარე მომენტზე. რის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია რომლითაც იწონებს მთავრობის მოქმედებას საშინაო და საგარეო საქმეებში და აღუთქვამს ყოველ მხრივ დახმარებას.

საოლქო შტაბის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ს. გოცაძემ, მან აღნიშნა მაზრაში გვარდიის განვითარების და მუშაობის მთელი ეტაპები და ყველა ის დაბრკოლებები, რომელიც ხელს უშლიდა შტაბს მუშაობაში. ამჟამად შტაბს შეუძლია დააყენოს თოფქვეშ ექვსასზე მეტი კაცი. მან მოაწყო გვარდიის დღე, მოახდინა თვითმართველობებთან შეთანხმებით მაზრის განიარაღება, შეკრებილია 511 თოფი და 159 რევოლვერი. შტაბს ჰყავს რწმუნებულები რაიონებში რომელნიც აწარმოებენ გვარდიაში საიმედო და შეგნებული ელემენტების ჩაწერას, იცავს რკინის გზის ლიანდაგს, აწყობს ამბულატორიას გვარდიელებისათვის და სხვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განიარაღების საქმეში, შტაბს ხელს უშლის, მოხელეებში გაბატონებული პროტექცია, რომლის წყალობით ბევრი არა საიმედო პირები იძენენ იარაღის ნებართვას, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. მოხსენების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა და აღნიშნა, რა ის მძიმე პირობები, რომელშიც შტაბს უხდებოდა მუშაობა, მიიღო შესაფერი რეზოლიუცია. ბოლოს ყრილობამ მოახდინა საოლქო შტაბის არჩევნები, ასარჩევი იყო 9 კაცი ამათგან 5 ჯამაგირიანი და 4 უჯამაგირო, როგორც დამხმარე. არჩეულ იქმნენ 1) გ. შენგელია, 2) ვ. ურუშაძე, 3) ს. გოცაძე, 4) ს. კობახიძე, 5) ის. სიხარულიძე, და 1) ს. მენაღარიშვილი, 2) ლადო კაშია, 3) ვ. კაპანაძე და 4) გ. ნებიერიძე.

ტიპი.

## განცხადებანი

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64 (სავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტის ნ. ზ. მიხელაძე
შინაგანი ავადმყოფობა, ელექსა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათი და წამლობა X სხივებით, დიდი სოლენოიდი და არსევალი ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიბებს ფასით ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—91

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 ვორონცოვისა, ბინა № 3 მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი ნ. ლ. ტუჩიაშვილი
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა და საშვილოსნოს სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოიჩის აფთიაქის გვერდით

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონხი.
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 12—42.

დოქტორი როზმიდუბ მაკარი.
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაბერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2608—2—2)

ექიმი ლ. ს. ბოლქვაძე
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ბალთავოის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

კბილის ექიმი
ე. შ. ზიბაური-მხაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ბესარიონ კაპოში
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27

დოქტორი ი. ი. ბაქრაძე
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური ... დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5—7 ... 8 სთ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი ი. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ზურგტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი გ. ა. ზაზრაძე
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"). ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ... მისამართი: ... ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი ი. ზოლდნეიდი
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე დ. საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი ქალი ტ. ს. ... მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბჭიო დარიგებას ხიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. ი. ქუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ა. ლ. ... სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 126 ტელ. 14—28.

თფილისის სახელმწიფო დაწესებულების მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს წევრთა საყურადღეოდ, რომ ოქტომბრის 19, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ხსენებულ საზოგადოების წევრთა

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

დღის წესრიგში დასმულია: 1) საკითხი მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებასთან შეერთების შესახებ და 2) მიმდინარე კითხვები. თუ პირველი კრება დანიშნულ დროს არ შესდგა კვორუმის უქონლობის გამო, მეორე კრება გაიხსნება ერთი საათის შემდეგ და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. გამგეობა.
(2726—2—1)

ქართული ლატარია

მხოლოდ ორი კვირა და დარჩა ლატარიის გათამაშებამდინ. პირველი მოგება 100000 მანეთია.

— —

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები, ამით ხელს შეუწყობთ ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის აშენების საქმეს.

— —

2 ნოემბერს გათამაშდება ლატარია. (6. 1—1)

ქართულ ლატარიის გამგეობა

ამით აუწყებს თავის პროვინციის კომიტეტების და ყველა კერძო აგენტების საყურადღებოდ, ვინც ამა თვის 25 მდის არ წარმოადგენს გაუყიდველ ბილეთებს, შემდეგ კანტორა მათ (ბილეთებს) არ მიიღებს და კომიტეტებს თუ აგენტებს მოსთხოვენ წარმოუდგენელ ბილეთების ფასს.

ლატარიის გათამაშება მოხდება ამა წლის 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში. კანტორა (სასახლის ქ. № 5, ტელეფონი 7—61) ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (6. 8—1)

წიგნების გამომცემლობა ალ. არაბიძის და ამხ. თფილისში.
უმთავრესი საწყობი: რუსთველის ქუჩა, № 11, ქაშვეთის ეკლესიის შენობაში. საწყობი ღიაა 9 ნახ —3 ნახ. საათამდის. მეორე საწყობი: წერა კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

გამოვიდა ახალი წიგნები:

1) იასონ ნიკოლაიშვილი—მოკლე ქართული გრამატიკა ფასი 8 მანეთი.

2) ალექ. წერეთელი—მსოფლიო ისტორია, ნაწილი პირველი, სურათებით. ფასი 25 მანეთი.

ამ დღეებში გამოვა:

3) დ. უზნაძე—ძველი ისტორია, სისტემატიური კურსი, წიგნი I, ძველი აღმოსავლ. და საბერძნეთი სურათებით.

4) ალ. წერეთელი—მსოფლიო ისტორია, ნაწილი მეორე.

5) Як. Зедгинидзе и В Джапаридзе—
Методическая Христоматія по русскому языку. Часть вторая, выпускъ первый.
(6. 1—1)

იბეჭდება და პირველი ნოემბრისათვის გამოვა გასასყიდათ
საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა

პირველი ყრილობის ოქმები

წიგნი იქნება დაახლოვებით 80—100 გვერდი და ეღირება კავშირებისათვის 12 მან., კერძო პირებისათვის კი 15 მან. წიგნების შეკვეთა შეიძლება მხოლოდ საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში: თფილისი, რუსთაველის ქ, № 15, არამიანცის სახლი, მეოთხე სართული, მე-10 ოთახში. (6. 5—4)